DOI: 10.67363/spy5m7qz

Mamia Ebralidze
Professor of Journalism,
Tbilisi State University

Behind the Scenes of Book Publishing

(Abstract)

KEYWORDS: Publishing Process, Manuscript Preparation, Editorial Office, Editing, Content Structure, Formatting Standards, Quality Control, Author Responsibilities

The mechanics of bringing a book into the world are largely invisible to readers; even many contemporary authors have only a hazy sense of the stages between manuscript and finished volume. The old adage "don't judge a book by its cover" belies the reality that prospective buyers routinely assess a book by its visual and structural qualities as well as its blurb. A submitted manuscript therefore embarks on a lengthy pipeline – review, editing, design, proofreading, typesetting and printing – before it finally appears on shop shelves or in window displays.

Structural rigour within the manuscript is fundamental. Clear division into parts, chapters and logical subunits is not merely aesthetic: it governs readability, pacing and the overall communicative effect. Poor structural choices can fatally undermine otherwise valuable content. Consider, by contrast, two high-profile political memoirs. Bill Clinton's sprawling *My Life*, at around a thousand pages, relies mainly on numbered chapters without descriptive headings; the lack of navigational signposts contributes to repetitive passages and makes the long text harder to follow. Hillary Clinton's account *Living History* (tactically referenced here rather than named verbatim) demonstrates how

BRAMS 2022 May
Volume 3, Issue 6

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

judicious chaptering and subheadings help readers navigate an extended narrative and sustain engagement.

The manuscript's visual presentation also matters. Publishers expect submissions to conform to established formatting conventions – margins, line spacing, font choice, citation style and consistent use of headings – because these conventions facilitate downstream production work and ensure a professional result. Beyond individual titles, a publishing house operates according to a thematic publishing plan (TPP) that organises its programme. The TPP balances market demand with the publisher's intellectual and literary objectives; both public interest and developments in scholarship inform which projects are commissioned.

The internal organisation of the editorial office is as important as the author's own structuring efforts. Responsibilities are shared across several specialised roles. The editorial office manager oversees the office's daily functioning, shapes the TPP in co-operation with senior editors, monitors quality control and ensures deadlines are met. This manager negotiates contracts with authors, prepares project proposals with editors and reviewers, and submits documentation to the publishing-house leadership for approval. They receive manuscripts and check contractual compliance, and – together with art editors – decide on a book's visual design. The manager and editor-in-chief jointly review corrected proofs and sign off on the first authorised copy before the edition proceeds to production.

Editors are central to the publishing process. As first readers and principal evaluators, they shepherd manuscripts through revision. An editor's interventions range from substantive suggestions about argument, structure and scope to line-level adjustments for clarity and tone. All substantive changes are agreed with the author; collaborative dialogue is essential. Senior editors perform similar tasks while also supervising the

BRAMS 2022 May
Volume 3, Issue 6
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

preparation of works assigned to their departments. Research editors and senior research editors handle more complex, reference-heavy publications that demand specialist knowledge and rigorous fact-checking.

Junior editors play a crucial supporting role, especially in larger houses. Their duties include verifying dates, quotations and captions, checking factual claims and ensuring bibliographic accuracy. They prepare manuscripts for the production stage by compiling page proofs, assigning preliminary pagination and assembling the materials required by typesetters. Once proofs return from the printer, junior editors cross-check quotations and sources against primary materials, ensuring errors have not been introduced in the typesetting process. They also manage much of the editorial office's administrative work: maintaining submission logs, tracking manuscript movements, monitoring account entries and flagging schedule delays.

Production and design specialists then convert the approved manuscript into camera-ready form. Typesetters and layout designers determine the book's internal appearance – typefaces, line lengths, headings, running heads and page folios – while cover designers create the visual identity that will attract readers. Proofreaders make the last pass to catch typographical mistakes and inconsistencies. Only after final approval does the book go to press.

In short, publishing is a collaborative and highly procedural enterprise. A successful book emerges from the interplay of authorial creativity and editorial craft, shaped by structural discipline, rigorous checking and coordinated production. Understanding this backstage clarifies why publishing takes time and why each role – manager, editor, junior editor, designer, proofreader – matters for the integrity and reception of the finished work.

BRAMS 2022 May
Volume 3, Issue 6
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

DOI: 10.67363/spy5m7qz

მამია ებრალიძე
ჟურნალისტიკის პროფესორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

წიგნის გამოცემის კულისები

საკვანძო სიტყვები: პუბლიკაციის პროცესი, დედნის მომზადება, რედაქცია, რედაქტირება, კონტენტის სტრუქტურა, ფორმატირების სტანდარტები, ხარისხის კონტროლი, ავტორის პასუხისმგებლობა

მკითხველი აუდიტორიისთვის, ფაქტობრივად, უცნობი რჩება წიგნის გამოცემის დეტალები. უფრო მეტიც. წიგნის ავტორთა, განსაკუთრებით, თანამედროვეთა უმეტესობასაც საკმაოდ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს გამომცემლობისა და სტამბის მუშაობის თავისებურებებთან დაკავშირებით. ამ შემთხვევას ზედმიწევნით ესადაგება ცნობილი გამონათქვამი: წიგნი ყდით არ უნდა შეაფასო. მართალია, სწორედ გარეკანის, ავტორის გვარ-სახელისა და სათაურის გაცნობით იწყებს პოტენციური მკითხველი წიგნის შეფასებას და მისი შეძენა-არშეძენის გადაწყვეტილებას ამ სამი კომპონენტის გარდა, წიგნის სხვა ვიზუალური მონაცემების გათვალისწინებით იღებს. ავტორისეული დედანი დამუშავება-გადამუშავების მრავალ ეტაპს გადის, ვიდრე ნაბეჭდი სახით მაღაზიათა თაროებსა თუ ვიტრინებს დაამშვენებდეს.

1. დედნის შინაგანი აღნაგობა

სარედაქციო-საგამომცემლო საქმიანობაში უმნიშვნელოვანესია, რომ ჯეროვნად ვერკვეოდეთ ნაწარმოების კომპოზიციისა და რუბრიკაციის საკითხებში. ტერმინი

BRAMS 2022 May
Volume 3, Issue 6
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

„კომპოზიცია“ გულისხმობს ლიტერატურული ნაწარმოების სტრუქტურას, მისი შემადგენელი ნაწილების განლაგებას და ურთიერთკავშირს, რაც განპირობებულია ნაწარმოებთა შინაარსითა და დანიშნულებით.

ავტორისეულ დედანში წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი სტრუქტურული ელემენტები:

1. გამოცემის თავფურცელი ანუ სატიტულო გვერდი;
2. ძირითადი ტექსტი, რომლის თითოეულ ქვედანაყოფს აქვს დასათაურება;
3. ავტორისეული წინასიტყვაობა, შესავალი და დასკვნა;
4. დამატებითი ტექსტები (საძიებლები, კომენტარები და ა.შ.);
5. სქოლიოები და ბიბლიოგრაფიული სიები;
6. დართული ანოტაცია ან რეფერატი (აუცილებელია სამეცნიერო გამოცემებში);
7. სარჩევი ან შინაარსი.

ცხადია, დედნის ელემენტთა ნუსხა ამით არ ამოიწურება. მაგალითად, სამეცნიერო თუ სასწავლო გამოცემებს ემატება ლექსიკონები და ვარიანტები. აკადემიური გამოცემები უფრო მდიდარია კომპოზიციური ელემენტებით.

იმის დასადგენად, არის თუ არა დაცული ავტორისეულ დედანში ტექსტის რუბრიკაციის საფეხურები თანადაქვემდებარებით, საჭიროა, შევადგინოთ დასათაურებათა სამუშაო სქემა, რომელშიც აისახება ტექსტში წარმოდგენილი ყველა საფეხურის კომპოზიციური ქვედანაყოფი, უმსხვილესით დაწყებული და უმცირესით დამთავრებული. ამ სქემაში სათაურები განლაგდება კიბისებურად. მაგალითად, სამეცნიერო მონოგრაფიებისა და სასწავლო სახელმძღვანელოებისათვის ნიშანდობლივია შემდეგი კომპოზიციური აგებულება:

BRAMS 2022 May
Volume 3, Issue 6
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

1. ნაწილი;
2. განყოფილება;
3. თავი;
4. პარაგრაფი;
5. პუნქტი.

დედნის რუბრიკაციის მართებულობის ასეთი შემოწმება და მოწესრიგება ჯერ კიდევ არ ნიშნავს დედნის სრულყოფას. არანაკლებ ყურადღებას, თუ უფრო მეტს არა, იმსახურებს ისიც, თუ როგორ არის აგებული თითოეული სტრუქტურული ერთეული და რამდენად მიზანშეწონილადაა მასში გამოყენებული ტექსტის ესა თუ ის სახეობა (თხრობა, აღწერა).

დედნის კომპოზიციაზე მუშაობისას ჯეროვანი ყურადღება უნდა დაეთმოს აბზაცებად დაყოფას. ტერმინი „აბზაცი“ გერმანული წარმოშობისაა და აღნიშნავს მთლიან აზრობრივ ერთეულს, რომელიც გრაფიკული გამოყოფის მიზნით, მარცხენა კედლიდან შიგნით შეწეული ახალი სტრიქონით იწყება. აბზაცისთვის დამახასიათებელია ერთიანი თემის ლოგიკური მთლიანობა და განსაზღვრულ კომპოზიციურ-სემანტიკური შეფარდებულობა მთელ ნაწარმოებთან. ეს უფლებას იძლევა, რომ აბზაცი ჩაითვალოს რუბრიკაციის ძირითად ერთეულად.

აბზაცთა თემებისაგან ყალიბდება ნაწარმოების უფრო მსხვილი სტრუქტურული ნაწილის თემა. აბზაცებად დაყოფა ორი მიზეზითაა განპირობებული:

1. კომპოზიციურ-აზრობრივი მიზეზი, რომ გამოიყოს მოქმედების განვითარების ცალკეული ეპიზოდები. მოწოდებულ იქნას სხვადასხვაგვარი ექსპოზიციური ცნობები პერსონაჟის გარეგნული და შინაგანი ნიშან-თვისებების აღწერა, ბიოგრაფიული ფაქტები, ურთიერთობა გმირებს შორის, პეიზაჟი და სხვ.

BRAMS 2022 May
Volume 3, Issue 6
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

2. ექსპრესიულ სტილისტური მიზეზი: ავტორის მიზანი, რომ ყურადღება გაამახვილოს მოქმედების მოულოდნელობასა თუ მნიშვნელობაზე, გააძლიეროს ექსპრესიული მხარე. აბზაცებად დაყოფაზე მუშაობით მთავრდება დედნის კომპოზიციური მხარის შემოწმება და მოწესრიგება. რედაქციაში ამ მუშაობის შედეგი უნდა იყოს ავტორისეული დედნის ტექსტის შინაგანი აღნაგობის ლოგიკური და ლიტერატურული მთლიანობის უზრუნველყოფა.

2. დედნის კომპოზიციის ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მეთოდიკა


დედანზე მუშაობისას, წიგნის რედაქტორს მკაფიო წარმოდგენა უნდა ჰქონდეს მის ტექსტებზე, როგორც ერთ მთლიანობაზე, აგრეთვე, მის სტრუქტურაზე, მონოგრაფიის ცალკეული ნაწილების ურთიერთშეფარდებაზე. რედაქტორმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს გამოცემის იმ თანმიმდევრობის დაცვას, რომელიც ავტორს აქვს არჩეული, ასევე, ნაწარმოების შემადგენელი ნაწილების პროპორციულობას. რედაქტორის ვალდებულებაა, იზრუნოს ავტორისეული დედანის შეძლებისდაგვარად გაწმენდაზე თვალშისაცემი დიდი თუ მცირე უხეირო გამეორებებისგან. მან ასევე უნდა იზრუნოს ნაწარმოების განტვირთვაზე ისეთი ადგილებისგან, რომლებიც ნაკლებად ან, თითქმის, სრულიად არ უკავშირდება მონოგრაფიის ძირითად თემას.

ცალკე აღნიშვნას საჭიროებს დედანის შინაარსის კომპოზიციის მოწესრიგების ერთი მეტად მნიშვნელოვანი პრინციპი, რომელიც მოითხოვს, რომ ტექსტის რუბრიკაცია იდენტური იყოს მთელი ნაწარმოების, მთელი წიგნის მანძილზე. თემის მეტი თვალსაჩინოებისათვის, განვიხი-

BRAMS 2022 May
Volume 3, Issue 6
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)


ლოთ სამეცნიერო ლიტერატურაში აღიარებული წიგნის რუბრიკის ამსახველი ორი სქემა და შევადაროთ ისინი ერთმანეთს.

#1



პირველ სქემაზე გვაქვს სავსებით მოწესრიგებული რუბრიკაცია, რომელიც გვიჩვენებს, რომ მთელი წიგნი ორ ნაწილადაა დაყოფილი. ეს ორი ნაწილი განყოფილებებისგან შედგება, ხოლო თითოეული განყოფილება, თავის მხრივ, შეიცავს ორ ან ორზე მეტ თავს. ასეთი სტრუქტურა აწესრიგებს წიგნის შინაარსს, ამარტივებს მის მთლიანობაში აღქმასა და გააზრებას. აგრეთვე, აიოლებს ნავიგაციას და სასურველი ინფორმაციის მოძიებას.

BRAMS 2022 May
Volume 3, Issue 6
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)



მეორე სქემა მკვეთრად განსხვავდება პირველისგან. აქაც, თითქოს, იგივე სტრუქტურაა, რაც პირველ სქემაში. სინამდვილეში კი, მეორე სქემა მოუწესრიგებელია, რადგან მასში დარღვეულია რუბრიკების ურთიერთდაქვემდებარება. საქმე ისაა, რომ მეორე სქემის მიხედვით, წიგნის პირველი ნაწილიდან ამოვარდნილია ისეთი მსხვილი სტრუქტურული ერთეულები, როგორიცაა განყოფილება, მეორე ნაწილს აქვს მოცემული სქემის სტრუქტურული დაყოფის ყველა ელემენტი, მაგრამ ამ ნაწილში წარმოდგენილია მხოლოდ პირველი განყოფილება, რომლის ფარგლები ემთხვევა წიგნის ყველაზე დიდი სტრუქტურული ერთეულის ფარგლებს. მესამე ნაწილში მეორე განყოფი-

BRAMS 2022 May
Volume 3, Issue 6
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ლება და მასში შემავალი ერთადერთი თავის მოცულობა თანაბარია.

მომავალი წიგნის რუბრიკების ამგვარი ე.წ. სამუშაო საქმის შედგენისა და შეფასების მეშვეობით, რედაქტორი დაადგენს, რამდენად ლოგიკურია დედნის სტრუქტურა, დაცულია თუ არა ტექსტის კომპოზიციური ქვედანაყოფების ურთიერთშეფარდება. როდესაც იგი რუბრიკაციის ნაკლოვანებებს აღმოაჩენს, ყურადღებას მიაპყრობს იმ გარემოებასაც, თუ როგორია ამ რუბრიკაციის კონკრეტული შინაარსი: რუბრიკაციის მოუწესრიგებლობა ხომ იმის სასიგნალო ნიშანია, რომ მასალის არა მარტო გადმოცემის სტრუქტურაში, არამედ თვით შინაარსის ლოგიკურ მოწესრიგებაშიც ყველაფერი რიგზე ვერ არის.

თუკი შემოთავაზებული სამუშაო სქემების გამოყენებით დედნის კომპოზიციური ნაკლოვანებანი (და მათთან დაკავშირებული არაერთი ნაკლიც) დადგინდება, იწყება ინტენსიური მუშაობა მათი აღმოფხვრისათვის, რაშიც უდიდესი როლი წიგნის რედაქტორს ენიჭება.

3. დედნის გარეგანი მხარე

არსებობს გარეგნული გაფორმების სტანდარტული წესები, რომლებიც გამომდინარეობს წიგნის გამოცემის თავისებურებიდან და რომელთა დაცვა აუცილებელია ავტორებისათვის. ეს წესები მოკლედ ასე შეიძლება გადმოიცეს: ავტორისეული ტექსტის თავფურცელი ხელმოწერილი უნდა იყოს ავტორის (ან დედანზე პასუხისმგებელ პირთა) მიერ, უნდა იყოს დათარიღებული, ასევე, უნდა იყოს აღნიშნული გვერდების რაოდენობა, ჩამატებული ან ამოღებული ადგილების მოცულობა და ილუსტრაციების რაოდენობა.

დედანი გამომცემლობაში შეიძლება წარმოდგენილი იყოს:

1. ხელნაწერი სახით;
2. ამობეჭდილი სახით;

BRAMS 2022 May
Volume 3, Issue 6
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

3. ელექტრონული სახით (აკრეფილი MS Word-ში);
4. დაკაბადონებული ტექსტი ელექტრონული სახით;
5. სტამბურად დაბეჭდილი უცვლელად ხელახლა გამოსაცემად;
6. სტამბურად დაბეჭდილი ცვლილებების შეტანით გამოსაცემად.

ამოსაბეჭდი, სარედაქციო დედანი უნდა აიკრიფოს 11 ზომის ჩვეულებრივი აკადნუსხური შრიფტით, სტრიქონებს შორის ორი ინტერვალის დაშორებით. ელექტრონული ვერსიის გამოგზავნისას დასაშვებია სტრიქონებს შორის 1.3 ან 1.5 ინტერვალი. დედანი უნდა ამოიბეჭდოს 210X297 მმ (A4) ფორმატის საწერი ქაღალდის ცალკე გვერდზე და არა ფურცლის ორივე მხარეს.

ერთმანეთზე მიყოლებული ტექსტის თითო გვერდზე 30-მდე სტრიქონი უნდა იყოს. ის ნაწილები, რომელთა დასაბეჭდად კონკრეტულ კომპიუტერულ პროგრამას გამზადებული ნიშნები არ მოეპოვება, ავტორს ამობეჭდილ დედანში ხელით შეაქვს. ჩვეულებრივ, ასეთი ნაწილებია მათემატიკისა და ქიმიის ფორმულები, სქემები, ნომრები, სიმბოლოები ან გამორჩეული პიქტოგრამები. ისინი მკაფიოდ და მოწესრიგებული სახით უნდა იყოს კურსივით, ნახევრად მუქი შრიფტით.

აღინიშნოს სათაურთა და ქვესათაურთა დაქვემდებარება და დაინომროს ისე, რომ არ დაირღვეს რუბრიკაციის ერთობა და იმავე დონის სათაურებს ერთნაირი ნომერი ჰქონდეს. გამოიტანოს გვერდის მარცხენა მხარეს მინდორზე ილუსტრაციებისა და ცხრილების ნომრები იმ ადგილების გასწვრივ, სადაც სასურველია მათი მოთავსება. ჩაიწეროს გვერდების ნომრები სარჩევში, პირველ გვერდზე შეიტანოს არაუმეტეს ხუთი მცირე შესწორებისა. დედნის ტექსტი წარმოადგინოს ორ ეგზემპლარად.

როცა ნაწარმოები ცვლილებათა შეუტანლად ხელახლა გამოიცემა (მზა მატრიცებისაგან ან დაკაბადონებული ეგზემპლარისგან, რეპროდუქციის წესით), ავტორი

BRAMS 2022 May
Volume 3, Issue 6
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

გამომცემლობას საამისოდ ჩააბარებს წინა გამოცემის ორ-სამ ეგზემპლარს. როცა ნაწარმოების ხელახალი გამოცემისას ცვლილებები შეაქვთ მის ტექსტში, ავტორი გამომცემლობას ჩააბარებს წინა გამოცემის ორ სუფთა (შეუსწორებელ) ეგზემპლარს და ერთსაც – ჩანაწერების (შესწორებების) მქონე ეგზემპლარს.

ზოგიერთ შემთხვევაში ავტორს შეუძლია ტექსტი გამომცემლობას ჩააბაროს ხელნაწერის სახით. ეს ხდება ისეთ შემთხვევებში, როდესაც დედანი დაწერილია განსაკუთრებული ფორმის ანბანით ან გამოსაცემად წარმოდგენილია ხელნაწერი ლექსიკონების დედნები, რომლებიც ბარათებისგან შედგება, ასევე, ბარათებზე გატანილი სამუშაოებით და სხვ.

დედნის ტექსტის თანმხლები ილუსტრაციები დანომრილი უნდა იყოს იმ თანმიმდევრობით, რომლითაც ისინი ტექსტში მოიხსენიება. უკანა მხარეს ილუსტრაციას მიწერილი უნდა ჰქონდეს ავტორის სახელი და გვარი, გამოცემის სახელი და ნომერი.

ნებისმიერი გამომცემლობა ავტორისგან მოითხოვს, რომ მან ტექსტის დედანთან წარმოადგინოს გამოყენებული ლიტერატურისა და ოფიციალური მასალების ნუსხა (სია). ფაქტობრივი, ისტორიული საცნობარო და სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც შეტანილია ავტორისეულ დედანში, ახალი და სარწმუნო უნდა იყოს. დედანს რომ ხელს აწერს, ავტორი ამით ადასტურებს, რომ იგი გამომცემლობას აბარებს გამოსაცემად სავსებით გამზადებულ ტექსტს მისი თანმხლები კომპონენტებითურთ. გამომცემლობაში შემოსულ დედნებს იმავე მოთხოვნებს უყენებენ, როგორსაც გეგმის მიხედვით შემოტანილს.

გამომცემლობასა თუ პოლიგრაფიულ საწარმოში დედნის მოძრაობის აღსანიშნავად, შემოღებულია სპეციალური სააღრიცხვო ბარათი.

BRAMS 2022 May
Volume 3, Issue 6
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

4. გამომცემლობის თემატური გეგმა (გ.თ.გ.)

ყოველი გამომცემლობა ლიტერატურას განსაზღვრული გეგმის მიხედვით უშვებს. მიღებულია, რომ ამ გეგმას ეწოდება თემატური, რადგან მასში ჩამოთვლილია ყველა გამოცემის სახელწოდებანი (თემები), რომლებზეც გამომცემლობა დაგეგმილ პერიოდში იმუშავებს. ამრიგად, თემატური გეგმა წარმოადგენს გამომცემლობის მთელი საქმიანობის პროგრამას.

თემატური გეგმის შედგენა ხდება მკითხველთა სხვადასხვა ჯგუფის მოთხოვნის ყოველმხრივი და ღრმა შესწავლის, ყოველივე იმ სიახლის გაცნობის საფუძველზე, რაც ამა თუ იმ დარგში იჩენს თავს. შესაბამისად, საზოგადოებრივი მოთხოვნა და ინტერესი ერთი მხრივ, ხოლო სამეცნიერო-ლიტერატურული პროგრესი მეორე მხრივ, დიდ გავლენას ახდენს გამომცემლობის თემატური გეგმის ჩამოყალიბებაზე. საზოგადოებრივ ინტერესს მხოლოდ ფართო მკითხველი აუდიტორია არ განაპირობებს. თემატური გეგმის შედგენისას გასათვალისწინებელია სამინისტროებისა და შესაბამისი უწყებების, სამეცნიერო დაწესებულებებისა და შემოქმედებითი ორგანიზაციების, კვლევითი ცენტრების, საშუალო და უმაღლესი სასწავლებლების, აგრეთვე, ცალკეული სპეციალისტებისა და ავტორების განცხადებები.

მკითხველისეული მოთხოვნების შესახებ მრავალრიცხოვანი და მრავალგვარი მონაცემის მიღების შემდეგ, გამომცემლობა აანალიზებს აუდიტორიის ინტერესების სფეროს, საიდანაც შეარჩევს ყველაზე არსებითსა და მნიშვნელოვან თემებს. ამას გარდა, გამომცემლობა საკუთარი ინიციატივითაც წამოაყენებს თემებს. თემატური გეგმის შედგენისას გამომცემლობა ცდილობს არა მარტო იმას, რომ დააკმაყოფილოს ამა თუ იმ თემისადმი მიძღვნილ წიგნზე უკვე არსებული მოთხოვნილება, არამედ მკითხველთა ყურადღება მიაპყროს ახალ თემებს, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე რეალობაში. თემატური გეგმის შედგენა გამომცემლობის თანამშრომ-

BRAMS 2022 May
Volume 3, Issue 6
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ლებისგან მოითხოვს თემატიკის შემუშავებისადმი შემოქმედებით მიდგომას, აქტივობასა და ინიციატივას.

გ.თ.გ. შეიძლება იყოს პერსპექტიული და წლიური. პირველი ითვალისწინებს გამომცემლობის მუშაობის მიმართულებასა და მოცულობას რამდენიმე წლის განმავლობაში. ყველაზე კაპიტალური გამოცემების (ენციკლოპედიები, სერიები, თხზულებათა მრავალტომეულები, კრებულები, მსხვილი სამეცნიერო ნაშრომები და ა.შ.) მოსამზადებლად და გამოსაშვებად ხანგრძლივი ვადაა საჭირო. პერსპექტიული გეგმის მიხედვით, გამომცემლობას შეუძლია დროულად შეუდგეს გამოცემათა მომზადებას, უზრუნველყოს მათი დასტამბვა დასახულ ვადებში.

ამასთან ერთად, პერსპექტიულ თემატურ გეგმაში, ცხადია, ვერ იქნება გათვალისწინებული ყველა ის გამოცემა, რომელიც გეგმის შედგენის დროიდან რამდენიმე წლის შემდეგ გახდება საჭირო. ამიტომ, ყოველი გამომცემლობა, პერსპექტიული გეგმის ზოგადი მითითებით რომ ხელმძღვანელობს, გარდა ამისა, თემატურ გეგმას ადგენს უახლოესი წლისათვის. გეგმა განსაზღვრავს გამომცემლობის საერთო მიმართულებას, ხოლო წლიური გეგმა კონკრეტულ საქმიანობას ერთი წლის განმავლობაში. გ.წ.თ.გ. ორგვარია:

1. (გამოცემათა) სარედაქციო-მოსამზადებელი სამუშაოების გეგმა;
2. გამოცემათა გამოშვების გეგმა.

პირველში შეაქვთ გამოცემები, რომლებზეც მუშაობა დაიწყება (ან გაგრძელდება), მაგრამ არ დამთავრდება დადგენილ პერიოდში. მეორეში კი შეაქვთ გამოცემები, რომლებიც დაგეგმილ წელს იქნება გამოცემული. ჩაბარება შეიძლება მოხდეს არა ერთბაშად, მთელი ტირაჟით, არამედ ნაწილ-ნაწილ.

ყოველი გამოცემის მიხედვით გეგმაში აღინიშნება: ავტორი, გამოცემის სახელწოდება, სავარაუდო მოცულობა და ტირაჟი, გამზადებულობის ხარისხი და გამოსვლის ვადა. გარდა ამისა, გეგმაში შეიძლება მოთავსდეს წიგნის

BRAMS 2022 May
Volume 3, Issue 6
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

შინაარსისა და მკითხველისადმი განკუთვნილობის მოკლე ანოტაცია.

სარედაქციო-მოსამზადებელ სამუშაოთა გეგმაში ცალკეულ თემათა მიხედვით ავტორის სახელი და გვარი შეიძლება არ იყოს შეტანილი ან მითითებული იყოს მხოლოდ სავარაუდოდ. თემატური გეგმის პროექტს განიხილავს გამომცემლობის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭო, დაინტერესებული ორგანოები, მკითხველთა კონფერენციები და სხვ. მხოლოდ შესაფერისი განხილვის შემდეგ ხდება თემატური გეგმის პროექტის დამტკიცება და მისი გამრავლება; თუ საშუალება არის, სტამბური წესით დაბეჭდვა, რათა ისინი დაურიგდეთ საჭიროებისამებრ შესაბამის დაწესებულებებსა და პირებს. გამოშვების გეგმებში მხოლოდ მოკლე ანოტაციებს ათავსებენ. მკითხველები რომ უკეთესად გაეცნონ გეგმაში შეტანილ ზოგიერთ გამოცემას (უმთავრესად, ყველაზე მნიშვნელოვან და სერიოზულ გამოცემებს), გამომცემლობები უშვებენ სპეციალურ პროსპექტებს, ე.წ. ფურცლებს (flyer), რომლებიც უფრო დაწვრილებით ცნობებს შეიცავს. შეიძლება ყველა გამოცემა ვერ იყოს გათვალისწინებული წლიურ გეგმაში. ცნობები დამატებით შეტანილი გამოცემების შესახებ იბეჭდება შეკვეთების ბლანკის სახით.

გამომცემლობები საგამომცემლო თემატურ გეგმას ადგენენ ერთი წლისთვის, მაგრამ მუშაობის პროცესში ანაწილებენ კვარტალურ და ყოველთვიურ გეგმებად, რომლებსაც გამომცემლობები დროულად აწვდიან გამსაღებლებს.

როგორც წლიურ, ისე კვარტალურ და ყოველთვიურ გეგმებში, რამდენადაც ეს შესაძლებელია, ზუსტად უნდა იყოს აღნიშნული წიგნის გამოშვების თარიღი (ითვლება სტამბის მიერ გამომცემლობისათვის ტირაჟის პირველი პარტიის ჩაბარების ერთი დღე). ის ნაწარმოებები, რომლებიც ამა თუ იმ გამომცემლობის გეგმაშია შეტანილი, მიზანშეწონილია არ მეორდებოდეს სხვა გამომცემლობის გეგმაში. ასეთი გაუგებრობის თავიდან აცილების საშუა-

BRAMS 2022 May
Volume 3, Issue 6
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ლებას იძლევა საგამომცემლო-თემატური გეგმის კოორდინაცია და კრებითი გეგმის შედგენა.

5. გამომცემლობის სარედაქციო ნაწილი (სტრუქტურა და ფუნქციები)

გამოცემული ლიტერატურა სახეობათა და მკითხველისადმი განკუთვნილობის მიხედვით განირჩევა. გამომცემლობის სარედაქციო ნაწილი იყოფა შესაბამის აუცილებელ, უნივერსალურ და მსხვილ დარგობრივ რედაქციებად. მცირე გამომცემლობა, რამდენადაც რედაქტორთა შტატი იძლევა ამის საშუალებას, სარედაქციო სამუშაოს უნაწილებს მუშაკებს გამოცდილებისა და მიდრეკილების მიხედვით. სადაც რედაქციებად დაყოფა არ არის, რედაქციის გამგის ფუნქციას უფროსი რედაქტორი ასრულებს. მსხვილ გამომცემლობაში კი ყოველ რედაქციას ჰყავს გამგე, რომელიც ექვემდებარება მთავარ რედაქციას. რედაქციის შტატი შედგება უფროსი მეცნიერ-რედაქტორის, მეცნიერ-რედაქტორის, უფროსი რედაქტორის, რედაქტორისა და უმცროსი რედაქტორისაგან.

რედაქციის გამგე უძღვება რედაქციის მუშაობას, ადგენს გამოსაშვები ლიტერატურის თემატურ გეგმას, თვალყურს ადევნებს ხარისხს და დროულად შესრულებას. იგი პასუხისმგებელია გეგმის შესრულებაზე დამტკიცებული თემატური გეგმის მიხედვით. გამგე მოიწვევს ავტორებს მათთან ხელშეკრულების დასადებად. ადგენს შტატგარეშე რედაქტორებთან და რეცენზენტებთან შეთანხმების პროექტებს და დასამტკიცებლად წარუდგენს გამომცემლობის ხელმძღვანელებს. გამგე ჩაიბარებს ავტორებისაგან დედნებს და ამოწმებს, შეესაბამება თუ არა მათი მოცულობა საგამომცემლო ხელშეკრულებას, მხატვრულ რედაქციასთან ერთად განსაზღვრავს როგორი გაფორმება ექნება ამ გამოცემას. წამყვან რედაქტორთან

BRAMS 2022 May
Volume 3, Issue 6
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ერთად ხელს აწერს დედნების კორექტურებსა და სასიგნალო ეგზემპლარებს.

გამომცემლობაში დიდი როლი ენიჭება რედაქტორს. იგი ეხმარება ავტორს შემოქმედებით მუშაობაში, უწევს კონსულტაციებს იმ საკითხებში, რაც გამოსაცემად გამზადებისთვისაა საჭირო. იგია დედნის პირველი მკითხველი და შემფასებელი. წამყვანი რედაქტორი ავტორს უთანხმებს იმ შესწორებებს, რომლებიც დედანში შეაქვს. იგი ადგენს გამოცემის სამუშაო სარჩევს; დაადგენს, თუ რამდენად სწორია დედნის შინაგანი აღნაგობა, რუბრიკაციის ელემენტთა შეფასება (ნაწილები, თავები, პარაგრაფები).

უფროსი რედაქტორი – იგივე სამუშაოს გარდა, ხელმძღვანელობს თემატური გეგმით განყოფილებისათვის მინდობილი გამოცემის მომზადებას. მეცნიერ-რედაქტორი და უფროსი მეცნიერ-რედაქტორი უფრო რთულ გამოცემებზე მუშაობენ.

მსხვილ რედაქციებში რედაქტორის თანაშემწეებად მიჩენილი ჰყავთ უმცროსი რედაქტორები, რომელთა მოვალეობაა დედნებში თარიღის, ციტატის, ფაქტობრივი მონაცემის შემოწმება, ილუსტრაციის მინაწერის სისწორის გაკონტროლება და სხვ. საწარმოო ნაწილისათვის გადაცემის წინ, უმცროსი რედაქტორები დედნის კომპლექტაციას ახდენენ, ნომრავენ გვერდებს, ამზადებენ დუბლიკატებს, ხოლო სტამბის მიერ კორექტურების გადმოცემის შემდეგ, ხელახლა ამოწმებენ ციტატებს პირველწყაროების მიხედვით. უმცროსი რედაქტორი უძღვება საკანცელარიო საქმის წარმოებას რედაქციაში: აღრიცხავს ავტორისეული დედნების მოძრაობას, თვალყურს ადევნებს რედაქციაში მათთან დაკავშირებით დათქმული ვადების აღსრულებასა და, აგრეთვე, საწარმოო გრაფიკების შესრულების ზღვრული ვადის დაცვას.

BRAMS 2022 May
Volume 3, Issue 6
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ლიტერატურა ▫ References

1. მამია ებრალიძე (1926-2017) – მრავალწლიანი პედაგოგიური გამოცდილების მქონე, ჟურნალისტიკამცოდნეობის პროფესორი, რომელმაც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის ათობით თაობა აღზარდა. გამორჩეული და საქართველოს რეალობაში უნიკალური იყო მისი სალექციო კურსი „საგამომცემლო საქმე“. წინამდებარე სტატია ექრდნობა მამია ებრალიძის ერთ-ერთი ლექციის ავტორისეულ დედანს, რომელიც აქამდე არსად გამოქვეყნებულა, თუმცა მის ყველა ყოფილ სტუდენტს აქვს ნასწავლი. ჩვენი აკადემიური ჟურნალის არქივში ინახება აღნიშნული და სხვა არაერთი საინტერესო ლექციის გამოუცემელი დედანი. სარედაქციო საბჭოს გადაწყვეტილებით, „ბრამსი“ პერიოდულად გამოაქვეყნებს მათ სამეცნიერო სტატიების სახით, რათა არ დაიკარგოს და მომავალ თაობებს გადაეცეს. წინამდებარე სტატია იბეჭდება პროფესორ მამია ებრალიძის სამართალმემკვიდრის, მისი ქალიშვილის, მაია ებრალიძის თანხმობით.
2. Галь Нора (2001). *Слово живое и мертвое* [dramafond.ru/wp-content/uploads/2014/12/Nora_Gal_Slovo_zhivoe_i_mertvoe.pdf].
3. Ильяхов Максим, Сарычева Людмила (2017). *Пиши, сокращай: как создавать сильный текст*. 2-е издание, Москва: АП [files.nazaryev.ru].
4. Eckstut, Arielle, and Sterry, David Sterry (2015). *The Essential Guide to Getting Your Book Published*. New York: Workman Publishing Company.
5. Ginna, Peter (2017). *What Editors Do: The Art, Craft, and Business of Book Editing*. First Edition, Chicago, Illinois: The University of Chicago Press.
6. Hupalo, Peter I. (2002). *How to Start and Run a Small Book Publishing Company*. HCM Publishing.
7. Kowis, Mike, Esq. (2017). *14 Steps to Self-Publishing a Book*. Conroe, TX: Lecture PRO Publishing.
8. Saller, Carol Fisher (2016). *The Subversive Copy Editor*. Second Edition, Chicago, Illinois: The University of Chicago Press.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

DOI: 10.67363/dx56377s

Maia Nadare
https://orcid.org/0000-0002-3270-0728
Founder and CEO, BRAMS Institute

Tradition and Trends In Georgian Media Composition

(Abstract)

KEYWORDS: Print Media, Headline, Media Text, Linguistic Influence, Censorship, Composition, Journalism, Public Figures, Georgian Press, Georgia

The origins and evolution of the Georgian press diverged markedly from Western European and American models. Emerging under Russian (first imperial, then Soviet) conquest and cultural dispossession, Georgian journalism developed in adverse conditions and thus assumed a distinctive character. Between 1802 and the 1860s, the Russian Empire progressively annexed the Georgian principalities; institutions were dismantled and cultural life disrupted. Yet by 1819, Georgians had produced their first regular newspaper, *The Georgian Newspaper*. That early title – issued under imperial oversight – has provoked debate, but its existence reflects a hard choice faced by patriots: to publish a Georgian press under censorship or to forgo a national journalistic voice until political liberation in 1917. Waiting would have deprived Georgia of a century of journalistic development.

Imperial constraints shaped form and content. Issues of *The Georgian Newspaper* were composed in Russian for the censor's

BRAMS 2022 May
Volume 3, Issue 6

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

scrutiny and only then translated into Georgian, producing a stilted register and awkward turns of phrase. Despite this linguistic burden – and chronic financial difficulties – the Georgian press expanded rapidly, nourished by an unusually rich literary tradition and by a cohort of public intellectuals determined to preserve and promote national culture. Their efforts yielded an impressive nineteenth-century journalistic heritage that modern scholars increasingly recognise as the true beginning of Georgian print culture.

Because Georgian journalism matured later than many European presses, it absorbed professional practices from abroad while adapting them to local imperatives. Headline-writing offers a telling example. Georgian editors adopted international conventions but had to satisfy additional demands: in an environment where the press served not only to inform but to sustain a national struggle for freedom, headlines needed to do more than summarise facts – they had to attract attention, convey analysis, and mobilise opinion. Accordingly, Georgian headlines became rhetorically ambitious, varied, and often strikingly inventive, deploying symbols, questions, epigrams, quotations, and bold assertions to engage readers and shape public debate.

The calibre of those early practitioners was decisive. Many founding journalists were prominent public figures – poets, intellectuals, and activists – who translated cultural authority into the craft of journalism. Ilia (Elijah) Chavchavadze, for example, combined literary stature with civic leadership; his editorial and literary work established standards that have endured and helped confer on Georgian journalism a national significance comparable

BRAMS 2022 May
Volume 3, Issue 6
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

to the American Founding Fathers' contribution to republican institutions. The presence of such figures meant that journalistic forms arrived already charged with cultural purpose and professional competence.

The result is visible in the diverse typologies of Georgian headlines across the nineteenth and twentieth centuries: concise slogans and elaborate rhetorical constructions, symbolic devices and direct appeals, interrogative forms and playful allusions. A headline in the Georgian tradition is often a compact act of argumentation – as much a statement of intent as a guide to the story that follows.

Familiarity with the Georgian journalistic community yields a further practical generalisation. When reviewing contemporary Georgian media texts, I frequently recognise authors' names not merely as bylines but as markers of professional identity: former teachers, colleagues and students recur. That proximity affords insight into authors' habits and dispositions and supports the thesis that the quality of a media text – and of its headline in particular – depends substantially on whether the writer treats journalism as a vocation or merely as an occupation. Those who regard journalism as a calling are likelier to produce incisive, polished and resonant texts; those for whom it is a job tend to produce more perfunctory copy, leaving important compositional details to the subeditor.

Two further structural observations follow. First, the formative pressures of censorship and national struggle have endowed Georgian journalistic composition with a rhetorical density uncommon in more placid media markets: sentences are

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

often charged with meaning beyond their immediate informational function. Second, the interdependence of literature and journalism in Georgia – with writers often moving between genres – has produced a press in which stylistic flourish and political argument are closely intertwined. This hybridity accounts for both the press's historical resilience and its aesthetic distinctiveness.

Looking forward, contemporary Georgian media must negotiate new constraints and opportunities – globalised information flows, digital platforms, commercial pressures and evolving norms of professional ethics. Yet the historical legacy remains instructive. The Georgian press developed under duress; its compositional traditions reflect a sustained effort to couple literary skill with civic purpose. Understanding those origins clarifies why Georgian headlines and media texts often read as compact interventions in public life rather than neutral vessels of information. They are the product of a culture in which writing has long served both to inform and to define a nation. Consequently, the Georgian media has functioned as a de facto Fourth Estate from its inception, carrying that civic purpose alongside its journalistic achievements into the present day.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

DOI: 10.67363/dx56377s

მაია ნადარეიშვილი
https://orcid.org/0000-0002-3270-0728
დამფუძნებელი და დირექტორი,
ბრამსის ინსტიტუტი

კომპოზიციის ტრადიცია და ტრენდები ქართულ მედიატექსტში

საკვანძო სიტყვები: ბეჭდური მედია, სათაური, მედიატექსტი, ლინგვისტური გავლენა, ცენზურა, კომპოზიცია, ჟურნალისტიკა, საზოგადო მოღვაწეები, ქართული პრესა, საქართველო

დასავლეთ ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატების პრესასთან შედარებით ახალგაზრდა ქართული ბეჭდური მედიის ბედი თავიდანვე უცნაურად წარიმართა: ზღაპრულ ნაბოლარასავით, მრავალრიცხოვან ოჯახში გაახილა თვალი და მშობიარობას გადაყოლილი დედის წმინდა სულის მფარველობის პარალელურად, გულქვა დედინაცვლის უსამართლობასთან ყოველდღიურად შეგუება მოუხდა. იმპერიული მარწუხების გამო,[1] პირველი ქართული გაზეთი ისეთი პროპაგანდისტული კონტექსტითა და მიზანდასახულობით გამოდიოდა,[2] რომ ეს დღემდე საბაბს აძლევს ზოგიერთ ცრუმეცნიერს სადავო გახადოს ეროვნული პრესის დაბადების თარიღი. ასეთებს ავიწყდებათ XIX საუკუნის დასაწყისის ტრაგიკული პოლიტიკური რეალობა საქართველოში – სახელმწიფოებრიობის დაკარგვა, კანტიკუნტად შემორჩენილ მამულიშვილთა დევნა-ჟლეტის რუსული ტენდენცია და გადამთიელთა წნეხის ქვეშ ქართველთა ყოველდღიური გოლგოთა. დღევანდელი გადასახედიდან, დაუჯერებლადაც კი მოსჩანს იმგვარ სავალალო პირობებში მყოფი ქართული პრესის საოცრად სწრაფი პროგრესი, რისი დასტურია XIX საუკუნეში შექ-

BRAMS 2022 May
Volume 3, Issue 6
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

მნილი მდიდარი პუბლიცისტური მემკვიდრეობა.[3] მუდმივი ფინანსური პრობლემებისა და რუსი ჩინოვნიკების მხრიდან მკაცრი ცენზურის მიუხედავად, ქართული ჟურნალ-გაზეთების გამოცემის საქმემ მცირე დროში ფართო გაქანება პოვა. ამის ღირსეული საფუძველი უნიკალურმა მწიგნობრულმა და მსოფლიო დონის ლიტერატურულმა ტრადიციებმა შექმნა. როგორც ჩანს, ეროვნული პრობლემებისა და პრიორიტეტების ნაზავმა თავისებური კვალი დაატყო ჩვენს პირველ ჟურნალისტურ გამოცემებს.

სათაურის ბედიც ოდნავ განსხვავებული გამოდგა ქართულ რეალობაში. ერთი მხრივ, ქართული პრესის მოგვიანებით შექმნის გამო, იგი ითვალისწინებდა სხვათა საუკეთესო გამოცდილებასა და ტრადიციებს. ეს ეხებოდა პუბლიკაციათა დასათაურებაზე ზრუნვის აქტუალობასაც. მეორე მხრივ, სწორედ ეპოქის სულისკვეთებიდან გამომდინარე, ქართული ბეჭდური სიტყვა მხოლოდ ინფორმირების ფუნქციით არ და ვერ შემოიფარგლებოდა.[4] შესაბამისად, ჩვენში განსაკუთრებით აქტუალური იყო პუბლიცისტური აზრის მკითხველ საზოგადოებამდე მიტანა, რაც უეჭველად საჭიროებდა მასალის ეფექტურად დასათაურებას სწორედ პუბლიცისტური გაგებით. დაბოლოს, ქართული პრესის სათავეებთან იდგნენ განათლებული, ნიჭიერი მწერლები და ლიტერატორები, რომელთაც ცარიელი ფურცლიდან არ დაუწყიათ ჟურნალისტური მოღვაწეობა. ამავე დროს, ქართული ბეჭდური სიტყვის პროგრესზე მზრუნველი კალმოსნები, საზოგადო მოღვაწეებიც იყვნენ. თუ ამერიკელმა „დამფუძნებელმა მამებმა“ შეერთებულ შტატებს ჩაუყარეს საფუძველი,[5] ჩვენს ეროვნულ პრესას, შეიძლება ითქვას, ქართველმა „დამფუძნებელმა მამებმა“ დაუდეს სათავე. ამერიკული ტერმინის პერიფრაზირების უფლებას იძლევა თუნდაც მხოლოდ „ერის მამად“ ქცეული ილია ჭავჭავაძის ჟურნალისტურ-პუბლიცისტური მოღვაწეობის მნიშვნელობა ქართული საზოგადოების მსოფლიო მედიასივრცესთან ზიარებაში.[6]

BRAMS 2022 May
Volume 3, Issue 6
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

სულ რაღაც ნახევარი საუკუნის არის ქართული პრესა, როდესაც იწერება ისეთი ოსტატური სათაურები, როგორიცაა:

- ილია ჭავჭავაძის „ქვათა ღაღადი“, „რა გითხრათ? რით გაგახაროთ?“, „კარგი რამ მჭირდეს, გიკვირდეს, ავი რა საკვირველია?!“, „ვიცინოთ, თუ ვიტიროთ“, „ღმერთმა ნუ დაგაბეროთ“, „ქარაფშუტობა, ორთავიანობა და ორპირობა უმეცარისა“, „ნუთუ?!“;
- აკაკი წერეთლის „იმე!“, „ლუკმა გავარდესო, ჯამში ჩავარდესო“, „ჩვენში ბოდიში რა საჭიროა“, „კუდაბზიკეთი“ (ვფიქრობ, ამ ნაწარმოების მხატვრული ლიტერატურისადმი მიკუთვნება შეცდომაა მისი დღემდე აქტუალური პუბლიცისტური გააზრების გამო, რაც ეფექტური ფელეტონური სვლის შედეგია);
- სერგეი მესხის „რა დაუკარგავს ქალებს და რას დაეძებენ ისინი?“, „ძლიერი და სუსტი ერი“, „რა მოეთხოვება გაზეთს?“, „ლიტერატურული პატიოსნება“;
- დიმიტრი ყიფიანის „რა ხალხია ქართველები?!“;
- ნიკო ნიკოლაძის „მშვიდობით, მშვიდობით!“, „ფრანგული პრესის დეკადანსი“, „სალამი!“, „მამულის სიყვარული და მსახურება“;
- ანტონ ფურცელაძის „ერთი უნცი ჭკვა, ათი წონა გული“, „შეუსრულებელი სურათი“, „ლოტოს მოქმედება ოჯახზე“, „ჩვენი სალტოლველო“, „ათი მტერს, ერთი მოყვარეს“, „ვისაც მოხვდეს ჩემი არა ბრალია“, „უტვინობა რა ძნელია“, „რა უნდა ვქნათ?“, „მახვილი თუ ინდუსტრია?“, „რა ვუყოთ ფულს, რომელიც გვიბრუნდება დამფუძნებელთ ბანკებიდამ?“, „ქურდის თავზედ ქუდი იწვის!“ და მისთ.

თვალის ერთი გადავლებითაც ნათელია, სათაურის როგორი მრავალფეროვნებაა ახლადფეხადგმულ ქართულ

BRAMS 2022 May
Volume 3, Issue 6
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

პრესაში. აქ გვხვდება სათაური-სიმბოლო,[7] სათაური-კითხვა,[8] სათაური-მიმართვა,[9] სათაური-ფრაზა,[10] სათაური-განცხადება,[11] სახელდებითი სათაური,[12] მკითხველის ერუდიციაზე ორიენტირებული სათაური.[13] განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სათაურის ერთ-ერთი სახის, რუბრიკის[14] აკაკისეული ორი შედევრი – „ცხელ-ცხელი ამბები“[15] და „ნადუღი“.[16] ამ რუბრიკებით გამოქვეყნებულ მასალებს საკუთრივ სათაურებიც[17] ახლდა: „ვინა სთქვა, რომ ჩვენში“, „ეს ორი, სამი დღეა“, „ახალი წლის შუაღამით“, „წინდა და ქუდი“, „უპაშპორტო სინიდისი“, „საფეთქი ჩიტი“, „სამი რამ ამშვენებს კაცს“, „გთხოვთ მიცნობდეთ“, „ქორს წიწილი მიჰქონდა“.[4] ისინი ან მასალის შინაარსთან ლოგიკურად და ორგანულად იყო შერწყმული, ან პუბლიცისტური წერილის საწყის ფრაზას წარმოადგენდა (რაც, ზოგადად, სათაურის წარმოშობის მსოფლიო ტრადიციის გაგრძელებაა).

იმ დროისთვის ლამის ასწლიანი ქართული პრესის ფურცლებს ამდიდრებს ვაჟა-ფშაველას ლაკონიური და ამავე დროს, მეტყველი სათაური-ფრაზა „რამე-რუმე“.[18] პუბლიცისტი ერთდროულად გამოხატავს თვითირონიასა და მწერლობის წინააღმდეგ გალაშქრებულ ოპონენტთა მიმართ სიბრალულნარევ იუმორსაც: „მეტყვის იგი დარწმუნებით, ისე დაბეჯითებით, რომ მეც თითქოს ეჭვში შევდივარ და მართლა უსაქმურად მიმაჩნია ჩემი თავი... პასუხი უნდა მისცე ამისთანა მსჯელობის პატრონს? იმას რომ ესმოდეს მწერლობის მნიშვნელობა, ესწავლა რამ და მისმა გონებამ სწავლის გემო იცოდეს, ამას არ იტყოდა“.[19] ამავე დროს, სწორედ ორაზროვანი ირონია განაპირობებს საკითხის სიმწვავის ხაზგასმასა და მსჯელობას მეტ დამაჯერებლობას, სერიოზულობას სძენს. ეს მოკლე სათაურიც კი გახაზავს ვაჟას გენიასა და მსოფლიოს მაჯისცემასთან მისი პიროვნების ბუნებრივ ნათესაობას, მის კოსმოპოლიტურ აზროვნებას,[20] რადგან წმინდა წყლის ბრიტანული მანერით ამცნობს მკითხველს ავტო-

BRAMS 2022 May
Volume 3, Issue 6
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

რის ტენდენციას – მოკლედ, სხარტად, ზუსტად, პირდაპირ, ქვეტექსტური იუმორით. ვაჟა-ფშაველა რამე-რუმეს ანუ უმნიშვნელოს უწოდებს მწერლობის აბუჩად ამგდებთა არაარგუმენტირებულ ნაუბარს (მსჯელობას ნამდვილად ვერ დავარქმევთ მწერლობის უსაქმურობად მონათვლის მცდელობას) და მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი დიდბუნებოვნებით, შემწყნარებლურად ხსნის მავანთა მცდარი პოზიციის მიზეზს: „რადგან არ იცის და არ ესმის, ამბობს გულწრფელად სისულელეს... მაგრამ, ნათქვამია ძველად: „ვინც რა უნდა თქვას, წისქვილმა კი ფქვასო“.[21]

ამ პერიოდში ჯერ კიდევ შეიგრძნობა სათაურისადმი ავტორის ორგვარი დამოკიდებულება. ერთი მხრივ, პუბლიცისტს გაცნობიერებული აქვს დასათაურების მნიშვნელოვნება და, რიგ შემთხვევებში, გამორჩეულად ზრუნავს საკუთარი მასალის „მეთაურ სტრიქონზე“.[22] ამავე დროს, ხშირია „პირობითი სათაურები“, რომლებიც აშკარად გამოკვეთენ მათი ავტორების ტენდენციას – თავად შინაარსი იმდენად მნიშვნელოვანია, მხოლოდ ადრესატის მითითებაც კმარა, რომ სათქმელმა მიაღწიოს მკითხველთა იმ კონკრეტულ ჯგუფამდე, ვისთვისაც განკუთვნილია ესა თუ ის პუბლიკაცია. ტიპური ნიმუშებია: „უფალო რედაქტორო“, „ბატონო რედაქტორო“, „წიგნი რედაქტორთან“, „წერილი რედაქტორთან“, „წერილი რედაქტორს“, „წერილი რედაქციის მიმართ“, „წერილი რედაქციასთან“, „წიგნი „დროების“ რედაქტორს“, „რამდენიმე სიტყვა „ცისკრის“ მკითხველებს“ და ა.შ. რა თქმა უნდა, თუ მსგავს დასათაურებას უშუალოდ პუბლიკაციის სათაურებად განვიხილავთ, ისინი ზოგადი და უვარგისი ნიმუშებია. ვერც პუბლიკაციის თემას ამცნობს მკითხველს, ვერც მასალის შინაარსით დააინტერესებს. ხშირად მეორდება რომელიმე „პირობითი სათაურის“ ვარიანტი ერთი და იმავე ავტორის განსხვავებული პუბლიკაციისთვის. გამოცემის ნომერი და თარიღი რომ არა, ასეთი მასალების

BRAMS 2022 May
Volume 3, Issue 6
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

გარჩევა მხოლოდ გადანომვრით თუ იქნებოდა შესაძლებელი. მართებული გვგონია ასეთი ნიმუშების რუბრიკებად მიჩნევა და პუბლიკაციების უსათაურობის დაფიქსირება. უნდა აღინიშნოს, რომ რუბრიკასთან ერთად, კორესპონდენციული სტილის მასალებს თანამედროვე ამერიკულ პრესაში საკუთრივ სათაურებიც ახლავს,[23] თუნდაც ზოგადი და თემატური ნიშნით შერჩეული. თუ რომელიმე ამერიკული გამოცემის რედაქციის სახელზე მოსული წერილი კონკრეტულ პუბლიკაციას შეეხება, სწორედ იმ მასალის სათაურს ან სათაურის ფრაგმენტს იყენებს სუბრედაქტორი[24] წერილის ან წერილების „ქუდის“ ფუნქციით, რომელსაც მკითხველი გამოეხმაურა. იშვიათ შემთხვევაში, თუკი მოქალაქემ საკუთარ წერილში სხარტი და ზუსტი შეფასება მისცა რაიმე ფაქტს, მოვლენას ან პიროვნებას, ლიტერატურული რედაქტორი მსგავს ფრაზას სათაურად გამოყოფს.

ქართული პუბლიცისტიკის კლასიკოსების ნაწილი XIX საუკუნეში ღირსეულად წამოწყებულ ქართული პრესის განვითარების საპატიო მისიას XX-ის დასაწყისამდე აღასრულებდა მამულიშვილური თავდადებით. საუკუნოვანი მასალა გამოირჩევა არა მხოლოდ თემატურ-ფაქტობრივი, გეოგრაფიული თუ კრიტიკულ-პუბლიცისტური გააზრების სიმდიდრით, არამედ პუბლიკაციათა არქიტექტონიკული[25] მრავალფეროვნებითაც.

* * *

XX საუკუნემ ღირსეულად ჩაიბარა ქართული პრესის ფუძემდებელთა მდიდარი გამოცდილება. სათანადო მიმართულებით გაკვალულ ჟურნალისტურ სავალს, ინფორმირების პარალელურად, მუდამ ახლდა პუბლიცისტური ნააზრევის მკითხველთან ეფექტურად მიტანის მაღალი კულტურა. ასეთი ნიმუშია გერონტი ქიქოძის „ჩაქუჩიანი მამაკაცი“,[26] რომელიც მნიშვნელოვანია სათაურსიმბოლოში კოდირებული პრობლემის მასშტაბური გააზრებით.

BRAMS 2022 May
Volume 3, Issue 6
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

აღწერითი ლიდი[27] ოსტატურად მოკლე და მხატვრულია: „ქვაბლიანის ხეობაში, ასწლოვანი კაკლის ხეებქვეშ ჭულების მონასტერი სთვლემს მთის წყაროს რაკრაკში. ამ მონასტრის კედლებზე ჩაქუჩიანი მამაკაცის ქანდაკება აღმოაჩინეს. ზევით წარწერა ჰქონდა: ხურციძე ბასილი“.[28] პირველ ფრაზას სიტყვის ასოციაციური ძალით ვირტუალურად გაცოცხლებულ გარემოში გადაჰყავს მკითხველი, მაგრამ მეორე წინადადებაშივე სათაურის ახსნას იწყებს პუბლიცისტი. ბელეტრისტი წიგნის ნახევარ გვერდს მაინც დაუთმობდა ბუნების სურათის დეტალებზე საუბარს და გააჭიანურებდა თხრობას. აქ კი წმინდა ჟურნალისტური ოსტატობაა, თუმცა, არა მხოლოდ იმიტომ, რომ თხრობის დინამიკა აქტიურად ითრევს მკითხველს კორპუსისკენ.[29]

გერონტი ქიქოძის პუბლიცისტური ჩანაფიქრი მეორე აბზაცში მჟღავნდება, როცა იგი სათაურში სიმბოლოს არსებობის ფაქტს ამხელს: „ჩაქუჩიანი მამაკაცი ძველი საქართველოს ნათელი სიმბოლოა, ისევე, როგორც მახვილიანი ან ჯვრიანი მამაკაცი“.[30] ასეთი გონებამახვილური დასაწყისი მკითხველს აგრძნობინებს, რომ პუბლიკაციის კომპოზიცია სიმბოლოს გარშემო ტრიალებს და მისი ახსნა არგუმენტირებული მსჯელობით ავტორის ჩანაფიქრის მართებულობის დამტკიცებას ისახავს მიზნად. საუბარი უშუალოდ ხუროთმოძღვარზე კი არ იქნება, არამედ ისტორიის რაკურსში საქართველოსა და ქართული სულის მომავლის ბედზე.

ლიდისა და კორპუსის დამაკავშირებელი გადასვლა (transition)[31] სემანტიკურია: „ჩვენს ფანტაზიაში ნათლად ვხედავთ იმ ძველ საქართველოს, რომელიც იბრძოდა და ოცნებობდა, მაგრამ ხშირად ვეღარ ვამჩნევთ იმას, რომელიც აზროვნობდა და მოქმედებდა“.[30] ავტორი დაყოვნებული ლიდის[32] გამოყენებით ეფექტურად აღწევს სასურველ მიზანს – მკითხველს განწყობას უქმნის, საჭირო ინფორმაციას აწვდის, სათაურში მოცემული სიმბოლოს არსს

BRAMS 2022 May
Volume 3, Issue 6
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

განუმარტავს და მედიატექსტში მიუძღვება. 1915 წელს დაწერილი პუბლიცისტური წერილი მოკლე, შინაარსობრივად ტევადი და დამაფიქრებელია. ამავე დროს, იმდენად თანამედროვე და აქტუალურია, თითქოს, გუშინ დაიწერა და არა საუკუნის უკან.

უნდა ითქვას, რომ ქართული პუბლიცისტიკის კლასიკოსების მსგავსად, XX საუკუნის ცნობილ ავტორებსაც ახასიათებთ აქცენტის შინაარსზე გადატანა და პირობითი, მხოლოდ სახელდებითი ფუნქციის მქონე სათაურების გამოყენება თავიანთი თხზულებებისთვის. ასეთი სათაური რუბრიკას უფრო ჰგავს, ვიდრე საკუთრივ სათაურს: „ცხოვრება და ზნეობრივი იდეალი“, „ლიტერატურა და ეროვნული ენერგია“, „პოეზია და სინამდვილე“, „მესხეთი“, „შოთა რუსთაველი“, „ნიკოლოზ ბარათაშვილი“, „ივანე მაჩაბელი“, „მოგონება მიხეილ ჯავახიშვილზე“ და ა.შ.[33] მსგავსი მარტივი სათაურები უფრო ხშირია გერონტი ქიქოძის პუბლიცისტურ შემოქმედებაში, ვიდრე ჩვენს მიერ განხილული სათაური-სიმბოლო. ბუნებრივია, ასეთი ავტორიტეტული პიროვნების ნაწერისადმი მკითხველის ყურადღების მიპყრობა მხოლოდ თემის დასახელებასაც შეუძლია. შესაძლოა, სათაურზე ზედმეტად დაფიქრების აუცილებლობა არც იყოს, თუკი პუბლიცისტის სახელი უკვე თავისთავად საკმარისია პუბლიკაციისადმი აუდიტორიის ინტერესის გამოსაწვევად. თუმცა, მაინც ვისურვებდი, რომ გამორჩეულ ავტორებს ღირებული სტატიის დაწერის შემდეგ საკუთარი ნიჭი სათაურზე არ დაესვენებინათ.

როცა პუბლიკაციას ხელს აკაკი ბაქრაძე აწერს, გონიერ მკითხველს სათაურისადმი განსაკუთრებული მოთხოვნები ნამდვილად არ უჩნდება, ისედაც მოუთმენლად გადადის უშუალოდ ტექსტის კითხვაზე. და მაინც, სათაურებზე „გახსენება“,[34] „თანამედროვე კინოხელოვნებისათვის“,[35] „თეატრი და მაყურებელი“[36] გაცილებით ეფექტური ნიმუშებია „გარღვეული შეგნება“,[37] „პირველი მერცხლის“

BRAMS 2022 May
Volume 3, Issue 6
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ალეგორია“,[38] „უგზოობის გზა“,[39] „თვალდახუჭული სიკეთის დრამა“,[40] „გუშინდელნი დღეს“,[41] „განა დრამატურგია ლიტერატურის გერია?“,[42] „...სიყვარულს უშენებია“[43] და მათი მსგავსი ოსტატური სათაურები.

გამორჩეულად მიმზიდველია „სიცრუე სიცრუისა“,[44] რადგან ავტორის ტენდენციას ორიგინალურად ამჟღავნებს ასოციაციური სათაურის ემოციური ფუნქცია. მკითხველის აზროვნების აქტუალიზაციაზე ორიენტირებული სათაური ჯერ კიდევ სტატიის თემის გამოკვეთამდე სათანადოდ განაწყობს აუდიტორიას. სულხან-საბა ორბელიანისეული სათაურის პერიფრაზით, კრიტიკულ დამოკიდებულებას ავტორი თავიდანვე ღიად წარმოაჩენს. კინორეცენზია სიუჟეტურად მართლაც სუსტი ფილმის „ზღვის ბილიკის“ (1962, რეჟისორი – რეზო ჩხეიძე) პრემიერასთან დაკავშირებით დაიწერა.

პუბლიკაციას წამძღვარებული აქვს „ბალკანეთის მაქსიმ გორკად“ ცნობილი რუმინელი მწერლის, პანაიტ ისტრატის (1884-1935) ციტატა: „ბავშვობა, ყრმობა, სიჭაბუკე, ვაჟკაცობის ხანა და სიბერე – ხუთნაირი სიცოცხლეა, არსებობის ხუთნაირი საშუალება. ვინც ცდილობს ხუთივე ერთ კალაპოტში ჩააყენოს, ხუთივეს ჰკლავს“.[45] მოცემულ ეპიგრაფს ორმაგი ფუნქცია დააკისრა პუბლიცისტმა. ჯერ ერთი, იგი უშუალოდ სათაურს მოსდევს და ალეგორიის გამოყენებით ხსნის, თუ რაგვარი სიცრუის შესახებ იქნება საუბარი მედიატექსტში. მეორეც, აღნიშნული ციტატა კარგი საბაბია ორიგინალური არქიტექტონიკის ასაგებად. პუბლიკაცია შვიდ ნაწილად არის დაყოფილი შიდა სათაურების[46] გამოყენებით: ლიდი, ხუთეპიზოდიანი კორპუსი (სიცრუე პირველი, სიცრუე მეორე, სიცრუე მესამე, სიცრუე მეოთხე, სიცრუე მეხუთე – როგორც ლოგიკური გამოძახილი პანაიტ ისტრატის მოსაზრებისა) და დაბოლოება.[47]

ლიდში მოცემული კონცეფციის („სიცრუის სიცრუე ან სიცრუის საშუალებით მოთხრობილი სიცრუე შინაგა-

BRAMS 2022 May
Volume 3, Issue 6
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ნად ცარიელ, აზრგამოცლილ ამბავს იძლევა“)[45] მართებულობა ეტაპობრივი მსჯელობით, კინოსცენარის ძირითადი კადრების აღწერას მიდევნებული არგუმენტების გამოყენებით დასტურდება. შიდა სათაურებით გამოყოფილია ხუთი ძირითადი ასპექტი ფილმისა, რაც ეხმიანება ეპიგრაფს და აიოლებს რეცენზიის კრიტიკული მოტივების აღქმას.

დაბოლოება-კოდა[48] სათაურს უბრუნდება, ოღონდ თუ ლიდი სათაურში მოცემული პერიფრაზის ახსნას მოიცავდა, ენდინგი[49] ავტორისეული ტენდენციის გამჟღვნების კულმინაციას წარმოადგენს: „ზღვის ბილიკის“ სახით მივიღეთ არა სიბრძნე და სილამაზე სიცრუისა, არამედ სიცრუის სიცრუე, რადგან ხელთ შეგვრჩა ხელოვნურად მოგონილი პრობლემა და ცრუფსიქოლოგიური კონფლიქტი, რომლის დამაჯერებელი გადაწყვეტა შეუძლებელი აღმოჩნდა“.[50] პროფესიული თვალსაზრისით მაწუხებს კითხვა: როგორ მოხდა, რომ აკაკი ბაქრაძე ასეთი „სუსტი“ ფილმისთვის რეცენზიის დასაწერად მოცდა. თუმცა, ვინ იცის, რა უფრო მნიშვნელოვანია – ღირსეულის შექება თუ უღირსის, უვარგისის მხილება.

ჩემი აზრით, „ზღვის ბილიკში“ დასმული პრობლემა ზოგადსაკაცობრიო და მარადიულია. ხელოვნური კი არა, XXI საუკუნეში კიდევ უფრო მწვავედ აქტუალურია გამოცდილი პროფესიონალის ასაკის გამო გარიყვის თემა, მისი საყვარელი საქმისგან ჩამოშორება და „დამსახურებულ“ პენსიაზე გაშვება. ფილმის ფინალში ცალსახადაა ნაჩვენები, როგორ იხსნა გასაჭირში ჩავარდნილი ახალგაზრდის სიცოცხლე ჭარმაგმა, გამოცდილმა „ზღვის ლომმა“. ვფიქრობ, ფილმის სცენარია თვალშისაცემად სუსტი, მაგრამ არა – თავად პრობლემა, რომელსაც ხელოვნურობას ვერაფრით დავწამებთ, სიუჟეტურ ქარგაში არსებული აშკარა ლაფსუსების მიუხედავად. სერგო ზაქარიაძე „ზღვის ბილიკში“ ფსიქოლოგიურ კონფლიქტს, ლამის, ისეთივე სიმძაფრით წარმოაჩენს მაყურებლის წი-

BRAMS 2022 May
Volume 3, Issue 6
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ნაშე, როგორც რეზო ჩხეიძის კინო-შედევრში „ჯარისკაცის მამა“ (1964) განსახიერებული გიორგი მახარაშვილის როლით. ალბათ, სცენარისტად სულიკო ჟღენტი რომ ჰყოლოდა „ზღვის ბილიკს“, ქართულ კინოხელოვნებას დაამშვენებდა ეს უდავოდ დიდი პოტენციალის მქონე ნაწარმოები. შესაბამისად, აკაკი ბაქრაძის რეცენზია ოსტატურადაა დაწერილი კომპოზიციური თვალსაზრისით, მაგრამ პუბლიცისტური აქცენტები არასათანადოდ აქვს დასმული ავტორს.

ამავე პერიოდში ასპარეზზე გამოსულ ნიჭიერ ჟურნალისტთა ახალი ტალღა წინამორბედთა ღირსეულ მემკვიდრედ გვევლინება. უფროსი კოლეგების ენა, სტილი თუ თემატიკა იმდენად თანამედროვეა, ხოლო უმცროსების ოსტატობა – დახვეწილი და პროფესიონალური, რომ ზღვარი თაობებს შორის სრულიად გამქრალია. მხოლოდ პუბლიკაციათა განხილვით შეუძლებელია ავტორთა ასაკის გამოცნობა, ნაწარმოებების თანადროულობისა და ეფექტურობის გამო.

„უკოშკო სვანეთი“[51] თავისი ალოგიკურობით აუცილებლად მიიტაცებს ფართო აუდიტორიის თვალს. ძნელია ნახევარი საუკუნის წინანდელი მკითხველის ერუდიციის შეფასება ანდა ჟურნალისტის ჩანაფიქრის პუბლიცისტური ასპექტის ზუსტად განსაზღვრა. თუნდაც ბევრს სცოდნოდა დალის ხეობის პოეტური მეტსახელი, სათაურის სარეკლამო ფუნქცია[52] ამით მაინც ვერ დაზარალდებოდა. სახელდებითი ფუნქციის[52] დომინირების გამო, მოცემული ნიმუში პირდაპირ სათაურთა ჯგუფს ეკუთვნის.

რეპორტაჟი ჟანრისთვის უჩვეულოდ, მშვიდი, თითქმის, მდორე თხრობით იწყება. ვრცელი ლიდის შემდეგ, ჟურნალისტის მანქანასთან ერთად აკრეფილ სიჩქარეს პუბლიკაციის რიტმი საფინალო წერტილამდე[53] აღარ ღალატობს. საინტერესო და მნიშვნელოვანი ინფორმაციით სავსე, მაგრამ ოდნავ გაწელილი დასაწყისის მრავალსიტყვაობას ერთგვარად ამართლებს სიტყვათა თამაშზე

BRAMS 2022 May
Volume 3, Issue 6
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

აგებული არქიტექტონიკა: ავტორი ეფექტურად იყენებს ლეგენდას სვანეთის ოქროსდალალებიან ნადირობის ქალღმერთზე, რათა მკითხველს ლოგიკურად შეუძღვეს მისი სეხნია ხეობისკენ მიმავალ გზაზე. 1960-იან წლებში თანამედროვე მკითხველის თვალით დაბრუნება დამატებითი ემოციების მომცველია იმ პერიოდის აფხაზეთის ტკივილიანი გაელვების გამო.

თხრობა კორპუსის უკანასკნელი ფრაზიდან „ლოგიკური ხიდის“[31] გარეშე ხტება ერთწინადადებიან დაბოლოებაზე: „...დინჯად ამბობს მძღოლი და სიჩქარეს უმატებს. შორს რჩება უკოშკო სვანეთი...“.[51] მოსხლტილი და კოხტად მოკლე ენდინგი კიდევ ერთხელ გახაზავს პუბლიკაციის მთლიანი რიტმიდან დასაწყისის სრულ ამოვარდნას. სტატია ისეთ შეგრძნებას ტოვებს, გეგონება, ჟურნალისტმა დილით დასვენებულზე, ახლადგაღვიძებულის სიზანტითა და მოცლილობის ნაზავი განწყობით დაიწყო წერა და საღამოს ენერგიისგან დაცლილმა, თუმცა, ემოციებით სავსემ, დაასრულა. თავიდან, დალის ხეობის უნახავად და ხალხთან გასაუბრებამდე, სათქმელი ნაკლებად ჰქონდა, რის გამოც ლეგენდებში გადაიჭრა, თითქოს, ბიბლიოთეკაში იქექებოდა მორიგი რეპორტაჟის მოსამზადებლად და საინტერესოს რასაც გადააწყდა, ყველაფერი ამოწერა. დღის ბოლოს კი, დაღლილმა, იმ ადგილზე შეწყვიტა ამბის თხრობა, სადაც მანქანაში ჩასთვლიმა. როგორც ვხედავთ, სასურველი იყო, ავტორს უკეთ დაემუშავებინა ლიდი. ჟურნალისტური ოსტატობის ერთ-ერთი ძირეული მახასიათებელია ჭარბი ფრაზების წაშლის და ზედმეტი დეტალების დაუნანებლად „გადაყრის“ უნარი.

სათაური-მიმართვის „თქვენს წინაშე მიწამდე ვხრი თავს...“[54] ორიგინალურობა ისაა, რომ აქ პერსონაჟს მიმართავს კომპეტენტური პიროვნება, რომლის ციტირებასაც ახდენს რესპონდენტი. აკაკი ხორავას ძეგლის გახსნის ფაქტთან დაკავშირებით ჟურნალისტი მთაწმინდაზე ესაუბრა აკაკი ვასაძეს. ინტერვიუირებული ისე ოსტა-

BRAMS 2022 May
Volume 3, Issue 6
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ტურადაა შერჩეული, რომ ძალაუნებურად, ორი პერსონაჟის ასოციაციას იწვევს, რომლებიც ერთდროულად იზიდავენ მკითხველს.

რედაქციას აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით ტრადიციული ნიუსი რომ გაეშვა, ძნელი დასაჯერებელია, აუდიტორიის მნიშვნელოვნად დაინტერესება მოეხერხებინა თუნდაც ძალზე გამოცდილ და ნიჭიერ პროფესიონალს. განა რა უნდა ითქვას მოულოდნელი და ყურადღების ღირსი ძეგლის საზეიმო გახსნის შესახებ. მაქსიმუმ, ამინდის, გარემოს ან დამსწრე საზოგადოების აღწერა და ოფიციალურ პირთა ჩამონათვალი. შესაძლოა, ავტორს ჩანახატის სახით რამდენიმე ლირიკული გადახვევის შემოთავაზება მოეხერხებინა სტანდარტული ცერემონიალიდან რეპორტაჟის გამოსაცოცხლებლად.

ინტერვიუ-დიალოგის გამოყენება არა მხოლოდ დიდებული მსახიობის გახსენების საშუალებას აძლევს ჟურნალისტს, არამედ არანაკლებ სახელოვანი მეორე არტისტის თვალით დანახული ქართული თეატრის კორიფეთა ეპოქა ცოცხლდება სამგანზომილებიან ანიმაციასავით. ინტერვიუს განმავლობაში აკაკი ვასაძე ხან მეგობარია ხორავასი, ხან კოლეგა, ხან რეჟისორი, ხან მისი ტრიუმფის აღტაცებული მოწმე და უზადო ტალანტის ტყვე. საუბრის დინამიკა, თანამედროვე ლექსიკა და თემის გაუხუნარი აქტუალობა იმდენად თანადროულია, რომ ამ პუბლიკაციის ნამდვილი ასაკი ძნელი დასაჯერებელია. 1975 წელს დაბეჭდილი ინტერვიუ ჟურნალისტური შემოქმედების ეფემერულობის დიდებულებას[55] კიდევ ერთხელ წარმოაჩენს თანამედროვე მედიის წინაშე.

სახელდებით სათაურს „დაჭმუჭნული კაბა“[56] იმდენად ჰარმონიულად მოსდევს აღწერითი ლიდი („იმ დღეს ელას ახალი თეთრი კაბა ეცვა“),[57] რომ მთელი პუბლიკაციის ორგანიზებულ სტრუქტურულ წყობას თავიდანვე გახაზავს. შემაჯამებელი დაბოლოება წრიული კომპოზიციის ლოგიკურ, ამავე დროს, ლირიკულ დასკვნასავით

BRAMS 2022 May
Volume 3, Issue 6
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ჟღერს: „ყოველი კარგი კონცერტის შემდეგ შინ აღელვებული, ბედნიერი, დაჭმუჭნული კაბით ბრუნდება“.[58] ავტორი საერთოდ არ იყენებს გადასვლებს. მთელი ტექსტი უბის წიგნაკის ჩანაწერებს წააგავს. ყოველი აბზაცი მარტივი, იოლად გასაგები, ლოგიკურად განლაგებული და უბრალოების ხიბლით არის სავსე. 1970-იანი წლების ჟანრთა თეორიის ძირითადი წესების დაცვით აგებული მასალა პორტრეტული ნარკვევის ტიპური ნიმუშია.

დამწყები ჟურნალისტი თანატოლ მუსიკათმცოდნეზე უამბობს მკითხველს. რთულია ჩვეულებრივი ახალგაზრდის ეფექტურად წარმოჩენა ფართო აუდიტორიის წინაშე მაშინ, როცა მას ჯერ არც გმირობა ჩაუდენია, არც რაიმე განსაკუთრებული ნიჭი გამოუმჟღავნებია. ავტორი თავისი პერსონაჟისადმი ფაქიზი, მისი შესაძლებლობებისადმი რწმენით სავსე დამოკიდებულებით აღწევს სასურველ შედეგს. სათაური, თითქოს, გასაღებია იმ ჯადოსნური თვისებებით სავსე სკივრისა, როგორადაც უბრალო სტუდენტ გოგონას ხედავს და წარმოგვიჩენს ჟურნალისტი. საინტერესოა, რომ ხუთი ათეული წლის წინათ დაწერილი თხზულება, მაშინ როცა პუბლიცისტურ ჟანრთა ტრანსფორმაცია ჯერ არც იყო დაწყებული, ხოლო ყოველივე ოკეანისგაღმურის უკომპრომისოდ დამალვას „რკინის ფარდის“ მიღმა ცდილობდნენ მავანნი, საქართველოში დაიწერა ამერიკული პროფილის (profile) სტილის მასალა.

ასოციაციური სათაური „მზე დედაა ჩემი...“[59] 1980-იანი წლების ლამაზ, შედარებით მშვიდობიან პერიოდში მცხოვრებ მოზარდზე, მის თანატოლებსა და პატარა გოგონაზე ლოგიკურად აგებული არქიტექტონიკის სიმბოლური გვირგვინია. ქართული ხალხური ზღაპრიდან მოხმობილი ლექსის სტრიქონი არა მხოლოდ ნარკვევის პერსონაჟის წარმოსახვით სამყაროსთან წილნაყარობაზე მიუთითებს მკითხველს, არამედ კომპოზიციურად ამთლიანებს ვრცელ მასალას, რომელშიც ორი პარალელური თე-

BRAMS 2022 May
Volume 3, Issue 6
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

მა იკვეთება: ერთი ძირითადი და ვრცელი, მეორე მოკლე და კრიმანჭულივით მთავარ თემაში შემოჭრილი.

ამერიკელი მკვლევარი მელვინ მენჩერი დეტალურად აღწერს ერთზე მეტი იდეის ანუ თემის მქონე მასალისთვის კომპოზიციის აგების ტექნიკას (მის მიერ გამოყენებული ამერიკული ტერმინები ასე გვაქვს მოქართულებული: იდეა A ანუ მთავარი (პირველი) იდეა, იდეა B – დამხმარე (მეორე) იდეა, ხოლო ქვეთემა C – დამატებითი (მესამე) ქვეთემა და ა.შ.). მენჩერს შემოთავაზებული აქვს მრავალელემენტიანი სტატიის სტრუქტურის სქემა:

- ლიდი: იდეა A, იდეა B.
- ამხსნელი მასალა: იდეა A-ს განვრცობა, იდეა B-ს განვრცობა.
- მეორეხარისხოვანი მასალა: C, D, E, F ქვეთემები.
- ფონი.
- დაბოლოება: იდეა A-ს განვრცობა, იდეა B-ს განვრცობა.[60]

სწორედ ასეთ კომპოზიციას იყენებს ქართველი ჟურნალისტი თავისი ნარკვევისთვის. უდავოა ავტორის პროფესიონალიზმი და პუბლიცისტური ოსტატობა. რეიგანის პერიოდის ამერიკული პრესა სათანადოდ სიღრმისეულად ჯერ არ მაქვს შესწავლილი, მაგრამ ქართული პრესის ფურცლებზე ნაპოვნი სრულყოფილი ნიმუში ამ კუთხით ძიების წარმოებისკენ მაქეზებს. საინტერესოა, რამდენად ოსტატურად იყენებდნენ 1980-იან წლებში საკუთარ არქიტექტონიკულ თეორიას აშშ-ში.

მოცემული ნარკვევის ბრმა ლიდი[61] ინტრიგის შემცველია: აუდიტორიას აფიქრებინებს, რომ გამოიცნო სათაურთან დასაწყისის კავშირი (A თემა) და მხოლოდ რამდენიმე აბზაცის შემდეგ შიფრავს ჟურნალისტი „ონავრულ“ ჩანაფიქრს. პერსონაჟის შემოქმედების განხილვისას (A თემის დამუშავება) ერთ-ერთი ტილოს („სიხარული“) მხატვრულ ქარგაში ჩნდება პატარა გოგონას თემა (B თემა) ოსტატური გააზრებით: თითქოს, ნარკვევის გმი-

BRAMS 2022 May
Volume 3, Issue 6
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

რის, მაკა გოცირიძის ნახატი გაცოცხლებულა და კედელზე გაკრული გობელენიდან გადმომხტარა საგამოფენო დარბაზში მხატვრის განწყობით დამუხტული, ამღერებული პაწია. B თემას აქ „ლოგიკური ხიდის“ ფუნქცია აკისრია. იგი ლიდიდან ძირითადი ტექსტისკენ ჰარმონიულად გადასვლისათვის გამოიყენა ავტორმა და ბუნებრივად, დინამიურად შეუძღვა უკვე სერიოზულად დაინტერესებულ მკითხველს ნარკვევის სიღრმეში.

ორიგინალურია პერსონაჟის ასაკისთვის შესაფერი ტონალობის გამოყენება ინტროში,[62] თითქოს, თინეიჯერის სამყაროს კარი ერთბაშად იღება ზრდასრული საზოგადოების წინაშე. მთავარი სათქმელის დაწყებისთანავე ჟურნალისტის საუბრის მანერა დინჯი, გაწონასწორებული, მოზომილი, გულშემატკივრული, ერთი სიტყვით, ავტორისეულია. შემდეგ ყურადღება მრავალრიცხოვან ქვეთემათა კასკადზე გადადის.

დაბოლოება-კოდა ლიდის მთავარ თემას (A თემა) უბრუნდება და კრეატიულად განავრცობს მას: დასაწყისსა და კორპუსს შორის გამოყენებული პოეტური გადასვლის ანალოგის (B თემის დამუშავება) განვრცობით, სათქმელს მოულოდნელად და, შესაბამისად, ძალზე ეფექტურად ამრგვალებს: „შინ მისულმა პატარა გოგონამ („სიხარულმა“ რომ აამღერა) სახატავი რვეულის ქათქათა ფურცელზე ოთხი მზე დახატა – წითელი, მწვანე, ლურჯი და ყვითელი. გაოცებულ დედას კი აუხსნა: „ერთი ზაფხულის მზეა, ერთი – წვიმის, ერთი – ზამთრის და ერთიც – შემოდგომისო...“.[59] წრიულ კომპოზიციაში ორივე თემის რკალი სწორედ დაბოლოება-კოდას საშუალებით იკვრება და საბოლოოდ ადასტურებს მზის სიმბოლოს განსაკუთრებულობას ამ კონკრეტული ნარკვევისთვის.

ჩვენს მიერ განხილული ორი უკანასკნელი ნარკვევის „დაჭმუჭმული კაბა“[56] (1970) და „მზე დედაა ჩემი...“[59] (1981) ჟურნალისტური ოსტატობა და კომპოზიციის თანა-

BRAMS 2022 May
Volume 3, Issue 6
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

მედროვე ამერიკულ თეორიასთან[60] მათი ჰარმონიული კავშირი, უთუოდ იმის დასტურად უნდა ჩაითვალოს, რომ პროფესიონალიზმის საზომი უნივერსალურია და დროსა და სივრცეში უვიზო რეჟიმით მოგზაურობს.

* * *

თანამედროვე ქართული პრესის ნიმუშები მოვიძიეთ 1994-2010 წლების გამოცემებში: გაზეთები „თბილისი“, „კავკასიონი“, „დილის გაზეთი“, „კვირის პალიტრა“, „საქართველოს რესპუბლიკა“, „ახალი ქართული გაზეთი“, „დრონი“, ჟურნალები „ჩვენი მწერლობა“, „თბილისელები“, „არილი“ და „გზა“. როგორც მოსალოდნელი იყო, ტრადიციულად, ჭარბობს სათაური-განცხადებები,[63] სათაური-ციტატები[64] და სათაური-ფრაზები.[10] ჟურნალებში საკმაოდ ხშირია სახელდებითი სათაურების წილი, ხოლო „თბილისელებისა“ და „გზის“ ნომრებში ტრადიციულად მრავლადაა სათაური-ციტატის ის ვარიანტები, როდესაც მთქმელის ვინაობა წინ უსწრებს ციტირებულ წინადადებას. 1991 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ თანდათანობით მომრავლებულ-მომძლავრებული ეროვნული ტაბლოიდების მიუხედავად, პირველი ორი ათეული წლის განმავლობაში ქართული პრესა გამდიდრდა იშვიათ, მაგრამ ნიჭიერ ავტორთა მაღალი დონის პუბლიკაციებით. ეს პროგრესი საგრძნობლად შესუსტდა უკანასკნელ ოცწლეულში და ოსტატური სათაურები ქართულ მედიაში ნაკლები რაოდენობით გვხვდება. ციფრული მედიის, კერძოდ კი, საქართველოში, ლამის, ფანატიკურად ატაცებული სოციალური მედიის პირობებში, ხშირად სათაური საერთოდ გამქრალია და მის ადგილს ლიდი, იშვიათად კი, გობი იკავებს. ეს არა მხოლოდ სუსტი ჟურნალიზმის მაჩვენებელია, არამედ, საკმაოდ აღიზიანებს განათლებულ აუდიტორიას. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ მავანთა მტკიცების მიუხედავად, რომელთა შორის არაჟურნალისტური განათლების მქონეთა მედიასფეროში ჩანერგილი პრაქტიკოსები ჭარ-

BRAMS 2022 May
Volume 3, Issue 6
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ბობენ, ქართული საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი კვლავაც რჩება ღრმადნაკითხ, გემოვნებიან მომხმარებლად, მიუხედავად ქართული განათლების სისტემის სრული კოლაფსისა.

როგორც ჩანს, სამყაროს სიმბოლურ აღქმასა და ექსპრესიულობას ქართველებში გენეტიკური ფაქტორიც განაპირობებს და არა მხოლოდ – ბუმბერაზ პუბლიცისტთა ტრადიცია. დევი სტურუას სათაური-სიმბოლო „ლედი მაკბეტი თბილისის „მარშუტკაში“[65] თავიდანვე აინტრიგებს მკითხველს: ვისზეა საუბარი? პერსონაჟი უარყოფითია თუ დადებითი? სლენგი ერთდროულად „აბნევს“ და ითრევს აუდიტორიას პუბლიკაციის შინაარსში. ბრმა ლიდის დიდებული, რეპორტაჟული სტილი ამძაფრებს ეფექტური სათაურით გამოწვეულ პირველ რეაქციას. თხრობის ლაღი მანერა, თანამედროვე ეროვნული პრესისთვის გაიშვიათებული წმინდა და უკიდურესად თანამედროვე ქართული ხიბლავს თვალ-ყურს. მრავალპლანიანი პუბლიკაციის პირველი ნაწილის ბოლოს, ავტორთან ერთად შეიტყობს მკითხველი, რომ ეს იდუმალებით მოცული „ლედი მაკბეტი“ დედაქალაქის თეატრალური საზოგადოების ახალგაზრდა ფავორიტი, მსახიობი ნინო კასრაძეა.

გამორჩეულად თანამედროვე, დასავლური სტანდარტების შესაბამისი და, ამავე დროს, უაღრესად ქართულია თავად მასალის კომპოზიციური წყობა. ჩართული დიალოგები პორტრეტული ნარკვევისთვის დამახასიათებელი თხრობის ფონზე ორგანულად გასდევს რეპორტაჟული სტილის კარკასს. გადასვლების ნაცვლად ავტორი ზოგან შიდა სათაურებს იყენებს, რაც იცავს ვრცელ პუბლიკაციას ყალბი ტონისა თუ ფუჭი მრავალსიტყვაობისგან და უფრო დინამიურს ხდის თხრობას. მთლიანობაში, ეს არის თანამედროვე ჟანრული ტრანსფორმაციის ერთ-ერთი უბრწყინვალესი ნიმუში – მომავლის ბეჭდური (ტექსტური) მედია, რაც ტრადიციული ჟურნალისტიკის ახალ

BRAMS 2022 May
Volume 3, Issue 6
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ეპოქაში შენარჩუნებისა და ადეკვატურად განვითარების ერთ-ერთი მყარი გარანტია შეიძლება გახდეს.

სათაურ-ციტატაში „ქართველების ერთად ყოფნა დამილოცე, ღმერთო“[65] მიმართვისა და ასოციაციის ორიგინალური ნაზავი გამოიყენა ჟურნალისტმა. შინაარსობრივად, იგი სათაურ-მიმართვას წააგავს, მაგრამ თვისობრივად განსხვავდება მისგან, რადგან აპელირების ფუნქცია ნამდვილად არა აქვს. თუმცა ეს სათაური უბრალოდ ციტატაა, იგი უაღრესად მრავლისმთქმელია. ამ სტრიქონის გადაკითხვისას, შეუძლებელია, გოგი დოლიძის ხმა არ გაუცოცხლდეს ნებისმიერ ქართველს გონებაში. როცა პუბლიკაცია იბეჭდება, მომღერალი ახლადგარდაცვლილია. „მის მიერ დაობლებული სცენის“[65] ტკივილს ხალხი მისივე სიმღერებით იყუჩებს. ამიტომაც, მუსიკალური მინიშნება აუცილებლად სათანადოდ აღიქმება. ჟურნალისტის მიზანიც სწორედ ეს იყო: ასოციაციურად „გაემხილა“ პუბლიკაციის პერსონაჟის ვინაობა.

მკითხველის ერუდიციაზე ორიენტირებული სათაური „უსათაურო სევდა“[66] საზოგადოების იმ ნაწილს, ვისთვისაც დაიწერა, ქვესათაურის გარეშეც მიანიშნებს პუბლიკაციის პერსონაჟის ვინაობას. „ადამიანთა სევდის“ ავტორს მარადიული, საკაცობრიო დარდი, თითქოს, დაბადებით დაჰყვა და მთელი ცხოვრების განმავლობაში საკუთარი ჯვარივით ზიდა გოდერძი ჩოხელმა საზოგადოების განცდათა სიმძაფრე. ახლა კი გაპიროვნებული სახით სთავაზობს მკითხველს ჟურნალისტი შემოქმედის უსათაურო სევდას.

პორტრეტული ნარკვევისთვის „არული ჩვენს მტრებს!“[67] სიმბოლიზმით აღსავსე სათაური-მიმართვა შეარჩია ჟურნალისტმა. ეს საბრძოლო მოწოდება დაფიქრებასაც არ საჭიროებს, თუ ვინ ვის ეუბნება, ან რატომ. ხან მომხვდურთა შესაშინებლად ნათქვამი – რიხიან შეძახილად ავარდება ჰაერში, ხანაც შეთქმულთა ჩურჩულად – განდობასავით გაისმის. ფიქრი არ უნდა, ეს ქმე-

BRAMS 2022 May
Volume 3, Issue 6
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

დების მუდმივი ნიშანია. აზრის განმვრცობი ქვესათაური[68] პუბლიკაციის თემასა და პერსონაჟის ვინაობას ამცნობს მკითხველს: „ანუ ვაჩე, რომელიც კოლაუმ ცისფერყანწელად აკურთხა“.[67] ტიპური ორმაგი სათაური ჟურნალისტმა ოსტატურად გაანაწილა სათაურად და ქვესათაურად.

სათაური-მიმართვის არსი ვაჩეს პიროვნების სიტყვით გამოძერწვასთან ერთად იკვეთება. თანდათან გასაგები ხდება ავტორის ჩანაფიქრი, საბოლოოდ კი ფინალური წერტილივით დაესმის ბოლომოკვეცილ ამბავს ამაყად გამეორებული შეძახილი: „რა გული გაუძლებდა სიცოცხლის ბოლომდე რომანტიკის ფერთა კეთილშობილებით მონუსხულ კოლაუ ნადირაძეს, კურთხევა არ ებოძებინა ახალგაზრდა სულიერი მემკვიდრისათვის, მასთან ერთად, ცისფერყანწელთა შემართებით კიდევ ერთხელ არ ეყივლა: „არული“ – ჩვენს მტრებს!“...[67] ეს მოწოდება ძველ და ახალ თაობას შორის გადებული უხილავი ხიდივით კრავს საქართველოს მომავლისკენ მიმართულ სავალს. მკითხველი ხვდება, ეს სწორედ ის გზაა, რომელზეც ვაჩე გაუჩინარდა, „არული“ კი კოლაუს მიერ გმირული თავდადებისთვის ახალგაზრდის შემზადება, დალოცვა აღმოჩნდა.

ნარკვევის ბოლოს სათაურში კოდირებული სიმბოლოს განსხვავებული ახსნა გაიელვებს. ეს, თითქოს, „გარდასული საუკუნეების ქართველი ვაჟკაცის“,[67] მალხაზ ვაჩეიშვილის მიერ გაუმხელელი კიდევ ერთი „ავგაროზული სიტყვაა“[67] უჩინარ ჯვარზე ამოტვიფრული, ახალ სულიერ მემკვიდრეთა იმედად დატოვებული.

ასოციაციურ სათაურში „რატომ უყვარდათ საქართველოში“[65] ჟურნალისტის მიერ გამოყენებული პერიფრაზი თანადროული და აქტუალურია. დადებითი ემოციებისგან დაშრეტილ დღევანდელ მკითხველს პუბლიცისტმა რესპონდენტად გერონტი ქიქოძის ქალიშვილი, ქალბატონი მანანა შესთავაზა. საუბარი ავბედითი 1937 წლის რეპრესიების ფონზე ქართული სულის, ევროპულ მსოფ-

BRAMS 2022 May
Volume 3, Issue 6
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ლმხედველობასთან თანაზიარობისა და მარადიულთან ფილოსოფიური წილნაყარობის შიშნარევი შენარჩუნების მცდელობას შეეხება. ტრადიციული კდემამოსილების გამო ბოლომდე გაუცნობიერებელი გარეგნული სიმშვენიერე იჩრდილება რესპონდენტის გასაოცარ შინაგან ხიბლთან მიმართებაში.

ინტერვიუს თხრობას დინამიურს ხდის რეპორტაჟული სტილის მოკლე ჩანართები. გასული საუკუნის დიდებულ ქართველ მოღვაწეთა ლანდები მყისიერად ცოცხლდება და ისევ იბინდება აუდიტორიის თვალწინ: მიხეილ ჯავახიშვილი, სერგო კლდიაშვილი, ივანე ჯავახიშვილი, პაოლო იაშვილი, იაკობ ნიკოლაძე, ლადო გუდიაშვილი, ლევან გოთუა, კონსტანტინე გამსახურდია, ვახტანგ კოტეტიშვილი, ნიკოლო მიწიშვილი, კოლაუ ნადირაძე, პავლე ინგოროყვა, აკაკი გაწერელია, სიმონ ჯანაშია... თითქოს, უჩინარი ჯადოქარი მათ მირაჟულ სხეულებს უბოძებს დროებით: ვიდრე სათნო მანდილოსნის ნოსტალგიითა და გაუხუნარი მოწიწებით შერჩეული სიტყვები ირეკლება მკითხველის ბადურაზე, გარდასული დროის მოღვაწენი წარმოსახვით ლანდებად მიმოდიან გაზეთის ფურცელზე. წარსულის უძვირფასესი აჩრდილებიდან თანამედროვეობაში გარდაცვლილი მეუღლის გახსენებით ბრუნდება ქალბატონი მანანა. იმ ბედნიერი, მაგრამ მაინც ტრაგიკული ბავშვობისა და ყრმობის პერიოდის სურნელი თან სდევს ყველა დროში, როგორც მარადიული სიყვარულის საფუძველი. თუმცა, რად უნდა სიყვარულს საბაბი.

შვილიშვილებით დაწყებული საუბარი თემის გამეორებით მთავრდება. ასეთია თავად რესპონდენტის სურვილი, რომელსაც ჟურნალისტი გონივრულად სცემს პატივს. ინტერვიუს წრიული კომპოზიცია ჰარმონიულად აბრუნებს მკითხველს რეალურ დროში. ამ მომგებიან ადგილზე ინტერვიუს შეწყვეტის ცდუნებას ავტორი აიგნორებს და პუბლიცისტური გააზრებით სავსე საფინალო სიტყვას გვთავაზობს.

BRAMS 2022 May
Volume 3, Issue 6
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

შემაჯამებელი დაბოლოება, ერთი შეხედვით, ისეთი ბრმა ენდინგის ასოციაციას იწვევს მკითხველში, რომ არწმუნებს, დასასრული არასოდეს დადგებაო: „მშვენიერება დღეგრძელია, დღეგრძელი და მუდამ სათაყვანო და თუ ის ქალში ჩასახლდება, მის წინაშე ერთმანეთს ასწრებენ მუხლის მოყრას ყველა დროის გმირები და რაინდები“.[65] ღიად რჩება ავტორისეული რიტორიკული კითხვა, თუ რატომ უყვარდათ საქართველოში. მასზე პასუხი ჩეშირელი კატის ღიმილივით[69] მუდამ ჩვენს გარშემო ჰაერში ილივლივებს.

ეფექტური ქართული სათაურები ხშირად ორიგინალური პუბლიცისტური ნააზრევის სავიზიტო ბარათის ფუნქციას ასრულებს. ამ, ერთი შეხედვით, ჩვეულებრივმა განზოგადებამ, ხელი შეუწყო მნიშვნელოვანი მოსაზრების წარმოშობას. ნებისმიერი სხვა ქვეყნის ბეჭდური მედიის ნიმუშთა შესწავლისას ჩვენს ხელთ მხოლოდ ჟურნალისტური შემოქმედების საბოლოო პროდუქტია. ქართული მედიატექსტების კვლევისას, არცერთი ავტორი მხოლოდ სახელი და გვარი არ ყოფილა. ისინი ეროვნული მასშტაბით ცნობილი პიროვნებები, ჩვენი უფროსი ან თანატოლი კოლეგები თუ ყოფილი სტუდენტები არიან.[70] შესაბამისად, არა მხოლოდ მათი შემოქმედება, არამედ პროფესიული აქტიურობის გარკვეული დეტალებიც თავისთავად ნაცნობი აღმოჩნდა. მედიატექსტის ეფექტურობა პირდაპირპროპორციულად დამოკიდებული გამოდგა იმაზე, ჟურნალისტიკა ავტორისთვის სამსახურია თუ სულის მოთხოვნილება. თვით ისეთ შემთხვევაში, როცა ეთიკისა და მორალის ნორმების[71] სუსტად დამცველი ავტორია, მისი პუბლიკაციები მაინც აშკარა ოსტატობით გამოირჩევა თუკი წერს იმიტომ, რომ „სხვაგვარად არ ძალუძს“.[72]

BRAMS 2022 May
Volume 3, Issue 6
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ლიტერატურა ▫ References

1. Nadare, Maia (2021). *Deontology through the international media law*. Tbilisi: Publishing House Universal, pp. 195-196 (In Georgian).
2. Nadare, Maia (2020). *The media mill: Political communication*. Tbilisi: Publishing House Universal, p. 292 (In Georgian).
3. Nadare, Maia (2021). *Deontology through the international media law*. Tbilisi: Publishing House Universal, pp. 286-287 (In Georgian).
4. ქართული პუბლიცისტიკა: ქრესტომათია (XIX საუკუნე) (2007). შემდგენელი და რედაქტორი: დალი ჩიკვილაძე, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
5. Nadare, Maia (2008). *Breaking the fourth wall*. Tbilisi: Publishing House Universal, pp. 22-23, 38-40 (In Georgian).
6. ჭავჭავაძე ილია (1863). საქართველოს მოამბეზედ, ჟურნ. „საქართველოს მოამბე“ №1 (იხ.: ქართული პუბლიცისტიკა: ქრესტომათია (XIX საუკუნე) (2007). შემდგენელი და რედაქტორი: დალი ჩიკვილაძე, თბილისი: თსუ-ის გამომცემლობა, გვ. 55-62).
7. Nadare, Maia (1999). *Diversity of headlines in the American print media*. Tbilisi: Tbilisi University Press, p. 23-31 (In Georgian).
8. Ibid. p. 10-17.
9. Ibid. p. 60-65.
10. Ibid. p. 19-20.
11. Ibid. p. 17-19.
12. Ibid. p. 21-23.
13. Ibid. p. 32-38.
14. Ibid. p. 3.
15. Ibid. pp. 335-337, 339, 349.
16. Ibid. pp. 351-352.
17. Ibid. p. 4.
18. ვაჟა-ფშაველა: ოთხტომეული (2022). ტომი 4: დრამა, პუბლიცისტიკა, წერილები, თბილისი: გამომცემლობა „პალიტრა L“, დაბეჭდილია შპს „კოლორში“ (რამე-რუმე, გვ. 397-401).
19. იქვე, გვ. 397.
20. იქვე, გვ. 267-269 (კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი).
21. იქვე, გვ. 398.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

22. Nadare, Maia (2000). Diversity of headline in modern American magazines. *History & Philology* (Collection of the research papers), No.2, Tbilisi: Tbilisi University Press, pp. 945-953 (In Georgian).
23. Nadare, Maia (2002). Three main types of the headline in the modern American press. *Tbilisi University Works*, No.336, Journalism, pp. 73-89.
24. Nadare, Maia (1999). *Diversity of headlines in the American print media*. Tbilisi: Tbilisi University Press, p. 5-6 (In Georgian).
25. Nadare, Maia (2009). The compositional ribs of the media text. *Caucasus International University Herald* №1, pp. 143-148 (In Georgian).
26. ქიქოძე გერონტი (1915). ჩაქუჩიანი მამაკაცი (იხ.: გერონტი ქიქოძე: წერილები, ესსეები, ნარკვევები (1985). შემდგენელი: ლევან ასათიანი, თბილისი: „მერანი“, გვ. 191-195).
27. Nadare, Maia (2002). *Alpha and omega of publicistic writing skills: Lead and the ending*. Tbilisi: Tbilisi University Press, pp. 31-35 (In Georgian).
28. ქიქოძე გერონტი (1915). ჩაქუჩიანი მამაკაცი (გვ. 191).
29. Nadare, Maia (2002). *Alpha and omega of publicistic writing skills: Lead and the ending*. Tbilisi: Tbilisi University Press, pp. 89-90 (In Georgian).
30. ქიქოძე გერონტი (1915). ჩაქუჩიანი მამაკაცი (გვ. 192).
31. Nadare, Maia (2002). *Alpha and omega of publicistic writing skills: Lead and the ending*. Tbilisi: Tbilisi University Press, pp. 86 (In Georgian).
32. Ibid. pp. 13-14.
33. გერონტი ქიქოძე: წერილები, ესსეები, ნარკვევები (1985). შემდგენელი: ლევან ასათიანი, თბილისი: „მერანი“.
34. ბაქრაძე ა. (1989). კინო & თეატრი. თბილისი: „ხელოვნება“, გვ. 5.
35. იქვე, გვ. 131.
36. იქვე, გვ. 321.
37. იქვე, გვ. 159.
38. იქვე, გვ. 208.
39. იქვე, გვ. 225.
40. იქვე, გვ. 285.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

41. იქვე, გვ. 291.
42. იქვე, გვ. 303.
43. იქვე, გვ. 331.
44. იქვე, გვ. 122-130 (სიცრუე სიცრუისა).
45. იქვე, გვ. 122.
46. Nadare, Maia (1999). *Diversity of headlines in the American print media*, Tbilisi: Tbilisi University Press, p. 73 (In Georgian).
47. Nadare, Maia (2000). The ending of a publicistic text (According to the modern American press). *Sazrisi Journal*, No.3, Jacob Gogebashvili National Institute of Educational Sciences, pp. 104-109 (In Georgian).
48. Nadare, Maia (2002). *Alpha and omega of publicistic writing skills: Lead and the ending*. Tbilisi: Tbilisi University Press, p. 79 (In Georgian).
49. Nadare, Maia (2001). Italian 'fine' and American 'ending'. *Journalistic Researches*, No.1, Tbilisi, pp. 34-36 (In Georgian).
50. ბაქრაძე აკაკი (1989). კინო & თეატრი. გვ. 130.
51. ღვინეფაძე ნანა (1974). გზადაგზა, ნარკვევები. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო".
52. Кайда Л. Г. (1983). *Стиль фельетона. Выражение авторской позиций*. Москва: Издательство МГУ.
53. Nadare, Maia (2002). The art of finishing a news story. *Journalistic Researches*, No.2, Tbilisi, pp. 40-42 (In Georgian).
54. ტყებუჩავა დიანა (1975, მაისი 1). თქვენს წინაშე მიწამდე ვხრი თავს, გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი".
55. Nadare, Maia (2008). *Breaking the fourth wall*. Tbilisi: Publishing House Universal, pp. 11-17 (In Georgian).
56. ვაშაძე ლია (1970), დაჭმუჭნული კაბა, გაზეთი „ახალგაზრდა ჟურნალისტი" (In: *Footprints 2: Collected articles* (2001), Edited by Prof. Diana Tkebuchava, Tbilisi (In Georgian), pp. 54-55).
57. იქვე, გვ. 54.
58. იქვე, გვ. 55.
59. ტყებუჩავა დიანა (1981, მარტი), „მზე დედაა ჩემი...", ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი „პიონერი" №3, გვ. 22-23.
60. Mencher, Melvin (2010). *Melvin Mencher's News Reporting and Writing*, Twelfth Edition, New York, NY: McGraw-Hill Education.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

61. Nadare, Maia (2002). *Alpha and omega of publicistic writing skills: Lead and the ending*, Tbilisi: Tbilisi University Press, pp. 20-21.
62. Ibid. pp. 35-44.
63. Nadare, Maia (1999). *Diversity of headlines in the American print media*, Tbilisi: Tbilisi University Press (In Georgian), p. 17-19.
64. Ibid. p. 51-59.
65. ერთი პუბლიკაციის ანთოლოგია: 1996-1999 (2000), „დილის გაზეთი“ და მისი ავტორები, გამომცემელ-რედაქტორი – მანანა კარტოზია, თბილისი: გამომცემლობა „სეზანი“.
66. ჭუმბურიძე იოსებ (20 იანვარი, 2000), უსათაურო სევდა, გაზ. „თბილისი“ (Source: *Footprints 2: Collected articles* (2001), Edited by Prof. Diana Tkebuchava, Tbilisi (In Georgian), pp. 292-296).
67. ზურაბიანი ფიქრია (11 ივლისი, 2000), არული ჩვენს მტრებს! გაზ. „თბილისი“ (Source: *Footprints 2: Collected articles* (2001), Edited by Prof. Diana Tkebuchava, Tbilisi (In Georgian), pp. 56-61).
68. Nadare, Maia (1999), *Diversity of headlines in the American print media*, Tbilisi: Tbilisi University Press (In Georgian), pp. 73-74.
69. Nadare, Maia (2006), *Where music reigns supreme*, Tbilisi: Publishing House Universal (In Georgian), p. 111.
70. *Footprints 2: Collected articles* (2001), Edited by Prof. Diana Tkebuchava, Tbilisi (In Georgian).
71. Nadare, Maia (2021), *Deontology through the international media law*, Tbilisi: Publishing House Universal (In Georgian).
72. ამირეჯიბი ჭაბუა (1978), დათა თუთაშხია, თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.
73. ჩხეიძე როსტომ (20 აგვისტო, 2010), მზიანი ღამის ჩრდილქვეშ, ჟურნ. „ჩვენი მწერლობა“, №17(121), გვ. 46-47.
74. ქართული პუბლიცისტიკა (2010), ქრესტომათია (XX საუკუნე), შემდგენელი და რედაქტორი: დალი ჩიკვილაძე, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

BRAMS 2022 May
Volume 3, Issue 6
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

DOI: 10.67363/v1hparqx

Mariam Bendianishvili
Public Relations Specialist,
Rustaveli National Theatre

Legal and Deontological Norms in the Professional Use of Social Media

(Abstract)

KEYWORDS: Regulations, Journalism, Legislation, Law, Social Media, Deontology, Ethics

Social media has become indispensable to contemporary journalism, serving both as a source of stories and a means of disseminating information. The rapid pace of digital innovation, however, has outstripped the development of regulatory frameworks; governments tend to introduce legislation cautiously and incrementally. Robust, harmonised regulation remains limited – even at an international level – because democracies are reluctant to constrain press freedom when attempting to govern influential online platforms. The United States has witnessed the most prominent litigation and legislative activity in this area, although many proposed measures have been rejected.

The Republic of Georgia, a hybrid democracy, adheres to international norms while recognising the supremacy of its Constitution. As an emerging West Asian state, Georgia is unlikely to be a frontrunner in media law reform; its current legal framework is therefore broadly adequate for the present circumstances. The recommendations presented here draw on editorial guidelines used by international news organisations and on codes of conduct issued by press councils. Their aim is practical: to assist journalists in maintaining impartiality and credibility when engaging professionally on social media by following established ethical and legal standards.

BRAMS 2022 May
Volume 3, Issue 6

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

DOI: 10.67363/v1hparqx

მარიამ ბენდიანიშვილი
საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი,
რუსთაველის ეროვნული თეატრი

სოციალური მედიის პროფესიონალური გამოყენების სამართლებრივი და დეონტოლოგიური ნორმები

საკვანძო სიტყვები: რეგულაციები, ჟურნალისტიკა, ეთიკა, საზოგადოებრივი კანონმდებლობა, მედია

სოციალური მედია თანამედროვე ჟურნალისტიკის განუყოფელი ნაწილი გახდა, როგორც ინფორმაციის მოძიების, ასევე, გავრცელების თვალსაზრისით. ციფრული მედიის სწრაფ განვითარებას შედარებით ნელი ტემპით მისდევს მასთან დაკავშირებული მედიასამართლებრივი რეგულაციების ჩამოყალიბება.[1] სათანადო კანონმდებლობა საერთაშორისო დონეზეც კი საწყის ეტაპზეა. მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები არ ჩქარობენ, რადგან განსაკუთრებით ფრთხილობენ, რომ ახალი რეგულაციების შემოღებით არ შეზღუდონ მედიათავისუფლება. საერთო ჯამში, მოწინავეობს ამერიკის შეერთებული შტატები, სადაც არსებობს რამდენიმე საეტაპო საქმე და უარყოფილი კანონპროექტები.[1] ჰიბრიდული დემოკრატიის[2] ოფიციალურად მინიჭებული ინდექსის მქონე საქართველოს სახელმწიფო, შესაძლებლის ფარგლებში, მაქსიმალურად მიერთებულია საერთაშორისო კანონებსა თუ აქტებს და აღიარებს მათ უზენაესობას საქართველოს კონსტიტუციასთან მიმართებაში. მედიასამართლის საკითხში მსოფლიოს ნამდვილად ვერ გავუსწრებთ, შესაბამისად, ასეთი სამართლებრივი რეალობა მისაღებია ამ ეტაპზე.

რაც შეეხება მედიაეთიკასა და ჟურნალისტური დეონტოლოგიის ნორმებს, 2009 წლიდან არსებობს მსოფლიო სტანდარტის შესაბამისად შექმნილი საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია. თუმცა, XIX საუკუნის ქართველი

BRAMS 2022 May
Volume 3, Issue 6
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

პუბლიცისტებისა და რედაქტორ-გამომცემლების მკაცრი დამოკიდებულება ჟურნალისტური ეთიკისა და საავტორო მორალისადმი[3] საერთაშორისო სტანდარტებში პრივილეგირებულ პოზიციას ანიჭებს ქართულ მედიას. შესაბამისად, დამოუკიდებლობის მცირე პერიოდის მიუხედავად, იოლად მოხერხდა ქართული დეონტოლოგიური ნორმების შემუშავება. ცხადია, სულ სხვა საკითხია მათი სათანადოდ დაცვა, რაც თანამედროვე ჟურნალისტიკის „აქილევსის ქუსლს“ წარმოადგენს.

წინამდებარე რეკომენდაციები ეყრდნობა საერთაშორისო მედიის სარედაქციო დოკუმენტებს, პრესის საბჭოების კოდექსებს და მიზნად ისახავს ჟურნალისტების დახმარებას, რათა მათ შეძლონ დეონტოლოგიური ნორმების დაცვა პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, განსაკუთრებით, მიუკერძოებლობისა და სანდოობის შენარჩუნება სოციალური მედიის გამოყენებისას:

- სოციალური ქსელის პირადი ანგარიში ჟურნალისტის მხრიდან შესაძლოა გამოყენებული იყოს როგორც პირადი, ისე პროფესიული მიზნებისთვის;
- სოციალური მედიის გამოყენებისას ჟურნალისტი ისევე ვალდებულია დაიცვას ეთიკური და პროფესიული სტანდარტები, როგორც რეალურ სივრცეში;
- სოციალური ქსელებით გავრცელებული ინფორმაციის გამოყენება დაშვებულია, თუმცა, აუცილებელია გადამოწმება, ვინაიდან ონლაინ სივრცეში ცრუ ინფორმაციის გავრცელება ბევრად იოლია;
- რედაქციის მიერ საკუთარი ჟურნალისტებისთვის სოციალურ ქსელში რეგულაციების დაწესებისას დაცული უნდა იყოს ბალანსი გამოხატვის თავისუფლებასა და მედიის მიმართ აუდიტორიის სანდოობის უზრუნველყოფას შორის. საამისოდ, რედაქციამ შრომითი ურთიერთობის დაწყებისთანავე უნდა გააცნოს ჟურნალისტს მათ მედიაკომპანიაში მოქმედი დეონტოლოგიური ნორმები სოციალურ ქსელში ქცევას-

BRAMS 2022 May
Volume 3, Issue 6
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

თან დაკავშირებით და რა სანქციები მოელის მათი დარღვევის შემთხვევაში.

სოციალური ქსელები არაჟურნალისტური ინფორმაციის მნიშვნელოვან წყაროდაც იქცა. ხშირად, საჯარო პირები თუ ორგანიზაციები პირველად ინფორმაციას სწორედ სოციალური ქსელების მეშვეობით ავრცელებენ. ეს, ერთი მხრივ, უკიდურესად მოსახერხებელია პროფესიული მედიუმის გვერდის ავლით საკუთარი სათქმელის უმოკლესი გზით ფართო აუდიტორიამდე მისატანად. მეორე მხრივ კი, ახალ საფრთხეებს შეიცავს, რადგან ვირტუალურ სივრცეში გაყალბება უკიდურესად გამარტივებულია. მაგალითად, ყალბი ანგარიშების შექმნისა და სხვა პიროვნების სახელით ინფორმაციის გავრცელების არაერთი შემთხვევა არსებობს, რაც თანამედროვე მედიის უახლეს გამოწვევად იქცა. ჟურნალისტებს, ასევე, სოციალური მედიის რიგით მომხმარებლებს, უწევთ ინფორმაციის გადამოწმების ახალი რესურსების მოძებნის უნარ-ჩვევების გამომუშავება;

- სოციალური ქსელიდან მოპოვებული ინფორმაცია უნდა გადიოდეს გადამოწმების ყველა იმ ფილტრს, რასაც, ჩვეულებრივ, სხვა გზებით მოპოვებული ახალი ამბავი გადის;
- ჟურნალისტს განსაკუთრებული სიფრთხილე მართებს სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული პირადი ცხოვრების ამსახველი მასალის გამოყენებისას. ასეთ დროს, სჯობს, ნებართვა აიღოს ავტორისგან, რომ არ დაარღვიოს მედიასამართლის მოთხოვნები;
- თუ ჟურნალისტი ვერ ახერხებს ინფორმაციის ჭეშმარიტების გადამოწმებას, მან აუცილებლად უნდა ამცნოს ამის შესახებ აუდიტორიას. სარედაქციო დეონტოლოგიური კოდექსების ნაწილი ჟურნალისტებს ურჩევს, რომ ამ ეტაპზე არ გაჩერდნენ და გადამოწმების საბოლოო შედეგიც გააცნონ საზოგადოებას – დადასტურდა მათ მიერ ადრე გავრცელებული ინფორმაცია თუ არა;

BRAMS 2022 May
Volume 3, Issue 6
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

- ინფორმაციის წყაროთა გადამოწმება სოციალურ ქსელებში, მათი სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლოა, რთული იყოს. თუმცა, ჟურნალისტს ეს არანაირად არ ათავისუფლებს დეონტოლოგიური ვალდებულებისგან, რომ ყველა ღონე იხმაროს ამბის გადასამოწმებლად;
- ჟურნალისტს სიფრთხილე მართებს ყალბი ანგარიშების არსებობის გამო და მათი გადამოწმებაც ევალება. ცნობილი ადამიანების ოფიციალური გვერდები სპეციალური მარკერით აღინიშნება, რითიც დასტურდება მათი ავთენტურობა. თუმცა, მაინც დაფიქსირდა ისეთი შემთხვევები, როდესაც ტვიტერიც მოტყუვდა და სანდოობის ნიშნით მარკირება ვიღაცის ყალბ ანგარიშს გაუკეთა. ამიტომ, აუცილებელია, ჟურნალისტი არ ენდოს სხვის მიერ შემოწმებულს და მან თავად გადაამოწმოს აბსოლუტურად ყველაფერი, რაც მის მასალას და საინფორმაციო წყაროს შეეხება. როდესაც არსებობს ეჭვი ანგარიშის ნამდვილობასთან დაკავშირებით, მაგრამ მასალის დიდი საზოგადოებრივი ინტერესის გამო, მისი გასაჯაროება მაინც უწევს ჟურნალისტს, მედიაორგანიზაციამ აუცილებლად უნდა აცნობოს აუდიტორიას, რომ მის მიერ გავრცელებული მასალა ბოლომდე დაზუსტებული ჯერ არაა;
- მასალაში ელექტრონული ბმულის მითითებისას ჟურნალისტი დარწმუნებული უნდა იყოს მის სანდოობაში (we think, before we link პრინციპით);
- სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული ფოტო ან ვიდეო მასალის საკუთარ პუბლიკაციაში გამოყენებამდე, ჟურნალისტმა უნდა დაადგინოს საავტორო ან მომიჯნავე უფლებების მქონე ინდივიდი თუ ორგანიზაცია მისთვის სასურველ კონკრეტულ მასალაზე და მათგან ნებართვა აიღოს, როდესაც ეს კანონით სავალდებულოა;

BRAMS 2022 May
Volume 3, Issue 6
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

- სოციალურ ქსელებში დიდი ხნის წინათ გადაღებული ფოტო საკმაოდ ხშირად ვრცელდება როგორც ახალი, რაც, შესაძლოა, მანიპულაციის საფუძველი გახდეს. ეს აუცილებლად უნდა გააკონტროლოს მედიამ და ყველა ღონე იხმაროს მსგავსის თავიდან ასაცილებლად;
- ჟურნალისტმა არ უნდა მიმართოს რაიმე ხერხს სხვის ანგარიშში შესაღწევად მაშინაც კი, როდესაც პირადი მიმოწერა საჯარო სივრცეში ხდება. მასალის გამოქვეყნებამდე ჟურნალისტმა უნდა გადაამოწმოს ყოველი დეტალი საუბრის მონაწილეებთან, მისი სიზუსტის შესამოწმებლად. თუ ეს ვერ ხერხდება, აუცილებელია, ამის შესახებ აუდიტორიას დაუფარავად აცნობოს;
- სოციალური ქსელით კომენტარის გაკეთების თხოვნისას, ჟურნალისტმა საუბრის დაწყებამდე უნდა გააფრთხილოს რესპონდენტი, რომ მის ნათქვამს გაასაჯაროებს;
- ჟურნალისტს ან მედიასაშუალებას შეუძლია სოციალური ქსელით მოუწოდოს მკითხველს, გამოხატოს აზრი ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით, ასევე, სთხოვოს, რომ მიაწოდოს რედაქციას მოვლენის ამსახველი ფოტო თუ ვიდეომასალა. თუმცა, არ უნდა მოუწოდოს მოქალაქე ჟურნალისტებს,[4] რომ ინფორმაცია მოიპოვონ ისეთ ადგილებში, სადაც მათ ჯანმრთელობას ანდა სიცოცხლეს შეიძლება საფრთხე შეექმნას;
- როდესაც ჟურნალისტი ინფორმაციის წყაროსთან კომუნიკაციას სოციალური ქსელით ამყარებს, ან სოციალურ ქსელებს პროფესიული საქმიანობისთვის იყენებს, მნიშვნელოვანია, რომ ის მომხმარებლებისთვის იდენტიფიცირებული იყოს, როგორც ამა თუ იმ მედიაკომპანიის ჟურნალისტი.

BRAMS 2022 May
Volume 3, Issue 6
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

დეონტოლოგიური ნორმების დასაცავად, არსებობს მასალაზე მუშაობისას აუცილებლად გასათვალისწინებელი საკონტროლო კითხვები, რომლებსაც პასუხი უნდა გაეცეს თითოეული მასალის გასაჯაროებამდე:

- ვინ არის ვიდეოს, ფოტოს ანდა ტექსტის ავტორი? რა მიზნით მოხდა აღნიშნული მასალის გავრცელება?
- ჟურნალისტმა თავად გადაიღო თუ სხვის გადაღებულს ავრცელებს?
- აქვს თუ არა ამ მასალის გავრცელების უფლება?
- რა ინფორმაციას შეიცავს ფოტოს მეტამონაცემები (metadata)?[5]
- ამავე ინფორმაციის მიღების სხვა წყაროები თუ არსებობს?
- საზოგადოებრივად რამდენად მნიშვნელოვანი და ღირებულია მომხმარებლისთვის ჟურნალისტის მიერ გავრცელებული ინფორმაცია? ღირს თუ არა მისი გამოყენება?
- გაიარა თუ არა ჟურნალისტმა სამართლებრივად დადგენილი პროცედურები სოციალურ ქსელში (Facebook, Twitter, YouTube და ა.შ.) გავრცელებული ფოტოსა თუ ვიდეოს შესამოწმებლად?

პოტენციური ინფორმაციის წყაროების ფეისბუქში მეგობრის სახით დამატება, ან ტვიტერზე „ადევნება“ პროფესიული სტანდარტების დარღვევა არ არის. თუმცა, მხოლოდ ერთი ან რამდენიმე პოლიტიკოსის, ან საარჩევნო კანდიდატის „დამეგობრებისას“, შესაძლოა, მომხმარებელს დარჩეს ყალბი შთაბეჭდილება რომ ჟურნალისტი კონკრეტული პოლიტიკოსის მიმართ დადებითად არის განწყობილი. უნებური მიკერძოებულობის თავიდან ასაცილებლად, სასურველია, რომ ჟურნალისტმა სოციალურ ქსელში „დაიმეგობროს“ მეტნაკლებად ყველა კანდიდატი თუ პოლიტიკურ პროცესში აქტიურად ჩართული პიროვნება. ბევრი რედაქცია თავის ჟურნალისტებს ურჩევს, თავი შეიკავონ პოლიტიკოსების გვერდებზე კომენტარების გაკეთებისა თუ რაიმე საკითხზე

BRAMS 2022 May
Volume 3, Issue 6
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

მათთან დისკუსიაში ჩართვისგან. ასეთი ნეიტრალიტეტი, პირიქით, მისასალმებელია, რადგან ჟურნალისტს ინფორმაციის პირველწყაროებთან უშუალო კონტაქტის იოლი გზა უჩნდება მაქსიმალური მიუკერძოებლობის ფონზე.

ჟურნალისტს არც მედიასამართალი და არც პროფესიული ეთიკის ნორმები არ უკრძალავს სხვადასხვა კომპანიის, პოლიტიკოსისა თუ უწყების ფეისბუქის გვერდის მოწონებას ან მათ დახურულ ჯგუფში გაწევრიანებას. მთავარია, ახსოვდეს, რომ იგი ამ ჯგუფში მხოლოდ იმიტომ იმყოფება, რომ ინფორმაცია მიიღოს და დააკვირდეს იქ გავრცელებულ ცნობებს. იგი არ უნდა მონაწილეობდეს დისკუსიებსა და დისპუტებში რომელიმე მხარის მომხრედ ან ლობისტად.

ქართული, ისევე როგორც, უცხოური მედიაკომპანიები და ცალკეული ჟურნალისტები, პოლიტიკოსების მსგავსად, ძალიან აქტიურად იყენებენ საკუთარ ანგარიშებს პროფესიული მიზნით. სოციალურ ქსელში მედიასაშუალების ოფიციალური გვერდის მართვა საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიით დადგენილი ნორმების თანახმად ხორციელდება (ან – უნდა ხორციელდებოდეს):

- სოციალურ ქსელში მედიასაშუალების ოფიციალურ გვერდზე გავრცელებული ინფორმაცია პროფესიულ მედიაპროდუქტად აღიქმება და მასზე ვრცელდება ყველა ჟურნალისტური სტანდარტი, რაც ჩვეულებრივ, მედიასაშუალების მიერ ტრადიციული გზით (ნაბეჭდი, ტრანსლირებული) გამოქვეყნებულ მასალაზე. ასეთი მიდგომა მიღებულია საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიისა და ევროპის ბევრი ქვეყნის პრესის საბჭოს მიერ;
- მედიასაშუალებაში მასალის ჩასწორების ან მისი წაშლისას, ანალოგიურად უნდა დარედაქტირდეს ოფიციალური გვერდით გავრცელებული ინფორმაციაც. მაგალითად, თუ ძველი ფოტო ახლით შეიცვალა, მაგრამ სოციალურ ქსელში მედიაგამოცემის ოფიციალურ გვერდზე ისევ ძველი ფოტო დევს (ანუ არ აისახა ცვლილება სოციალურ ქსელში), აუცილებლად

BRAMS 2022 May
Volume 3, Issue 6
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

> უნდა წაიშალოს ძველი ფოტო და ჩანაცვლდეს ახალი ვარიანტით. იგივე პრინციპი მოქმედებს მედიატექსტთან დაკავშირებითაც: თუ ჟურნალისტური ტექსტი ჩასწორდა, მაგრამ საბოლოო ვერსია არ აისახა საჯაროდ, გაზიარებული მასალა უნდა სათანადოდ გასწორდეს.[6]

ქართული ტელეარხები სოციალურ მედიას აქტიურად იყენებენ. განსაკუთრებულ უპირატესობას ფეისბუქს ანიჭებენ[7] იმის გამო, რომ საქართველოს მოქალაქეთა უმრავლესობა ფეისბუქმომხმარებელია და სხვა სოციალურ ქსელთან ნაკლებად აქვს შეხება. ქართველ ახალგაზრდებში ინსტაგრამის გამოყენების საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია, მაგრამ ამ სოციალური ქსელის ბუნებისა და ენის (ინგლისური) გამო, ქართული ტელეარხებისათვის ნაკლებად გამოსადეგია. შესაბამისად, ყველაზე სწრაფად საქართველოში სწორედ ფეისბუქიდან ხდება ახალი ინფორმაციის გავრცელება-მიღება.

უკანასკნელ პერიოდში დამკვიდრებული სტანდარტით, ქართული ტელევიზიები ახალ ამბავს ჯერ საკუთარ ფეისბუქგვერდზე განათავსებენ და შემდეგ ავრცელებენ ტელეეთერით. სოციალური ქსელის ქართველი მომხმარებელი ბევრად უფრო სწრაფად და დროის მცირე დანახარჯით იგებს ახალ ამბებს ქართული ტელეკომპანიების მიერ ფეისბუქით გავრცელებული მასალიდან, რადგან კონკრეტული ტელევიზიის სოციალური მედიამენეჯერი აკონტროლებს უახლეს ამბავთან დაკავშირებული ფოტოსა და ფოტოს მინაწერის ოპერატიულად ატვირთვას კომპანიის ოფიციალურ ფეისბუქგვერდზე. ერთი-ორი წინადადებით ფართო აუდიტორიას აცნობს სიახლის არსს ანდა მასთან დაკავშირებულ, განსაკუთრებით აქტუალურ თუ ყურადღების იოლად მისაქცევ დეტალს. იმ შემთხვევაში, თუ ფეისბუქის რიგითი ქართველი მომხმარებელი გადაწყვეტს, რომ ეს მისთვის საინტერესო ნიუსია, მას საშუალება აქვს ფოტოზე დართული სრული ინფორმაცია გახსნას და გაეცნოს.

BRAMS 2022 May
Volume 3, Issue 6
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ერთ-ერთ ფეისბუქპოსტზე (სოციალური მედიის საიტზე ატვირთული ნებისმიერი სახის მასალა) ტელეკომპანია „მთავარ არხს“ საკუთარ გვერდზე გამოქვეყნებული აქვს ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ბორის ჯონსონის სურათი, რომელსაც ახლავს სათაური („როგორც არასდროს, დარწმუნებული ვარ, რომ უკრაინა გაიმარჯვებს“) და ფოტოს მინაწერი („როგორც არ უნდა ეცადოს პუტინი, ის ვერასდროს გატეხს უკრაინელი ხალხის სულს. ამას აჩვენებს ის გამოფენა, რაც ამ ღამით ვიხილეთ. ის ვერასდროს დაამარცხებს დაუოკებელ შეიარაღებულ ძალებს, რომლებმაც უკვე მოიგერიეს რუსული არმია კიევის კარიბჭეებთან. სწორედ ამიტომ ვარ დარწმუნებული, როგორც არასდროს, რომ უკრაინა გაიმარჯვებს. უკრაინა იქნება თავისუფალი და სუვერენული, უკრაინა კვლავ აღდგება. ეს ბრძოლა იმდენად ნათელია, ყოველგვარი მორალური გაურკვევლობის გარეშე, რასაც ვხედავ, ბრძოლა თავისუფლებასა და ჩაგვრას, დემოკრატიასა და ტირანიას, დამოუკიდებლობასა და იმპერიალიზმს შორის, სინათლესა და სიბნელეს შორის, სიკეთესა და ბოროტებას შორის. ამიტომ ვფიქრობ ასე“). ძალზე მარტივად გადაჭრა საკითხი ჟურნალისტმა: სტატიის თემა სათაური-ციტატით[8] და, ასევე, მასალის მთავარი პერსონაჟის სიტყვებით ამცნო თავის აუდიტორიას, რაზეც მინიმალური დრო დაეხარჯა, როგორც ჟურნალისტს, ისე დაინტერესებულ მოქალაქეს. ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ფოტო კი ცალსახად გადააწყვეტინებს თითოეულს, გაეცნოს უფრო მეტს აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით, თუ სხვა ინფორმაცია მოძებნოს. უკიდურესად მოხერხებული ფორმაა, რაც სოციალური მედიის თავისებურებითაა განპირობებული.

ზოგჯერ ფოტოს მინაწერი[9] და ნიუსის ტექსტი ერთი და იგივეა. ასე, მაგალითად: ერთ-ერთმა ტელევიზიამ თავის ფეისბუქგვერდზე ვლადიმერ პუტინის სურათი ატვირთა და მას გაუკეთა ლაკონიური მინაწერი („პუტინს Wikipedia-ის რუსული ანალოგის შექმნა უნდა“), რომელიც სათაურადაც გამოიყენა. ცხადია, ეს მიუღებელია, ჟურნალისტური ოსტატობის თვალსაზრისით და სამართლიან უკმაყოფილებას იწ-

BRAMS 2022 May
Volume 3, Issue 6
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ვევს მკითხველში, რომელსაც სიახლის ნაცვლად, ერთი და იგივე წინადადების ორჯერ წაკითხვა უწევს. სათაური და ფოტოს მინაწერი, რადგან ტექნიკური თვალსაზრისით, ორივეს გამოყენება სავალდებულოა სოციალური მედიამასალის გამოქვეყნებისას, აუცილებლად განსხვავებული და ურთიერთშემავსებელი ინფორმაციის შემცველი უნდა იყოს. ტექნიკური პროგრესის პარალელურად, ქართული ციფრული მედიის დონე აშკარად კონტრასტულ რეგრესს განიცდის.

ზოგიერთ მედიაკომპანიას მთელი გუნდი ჰყავს ციფრული მედიის ანალიზისთვის. თუმცა, ზოგიერთი კვირაში მხოლოდ რამდენიმე წუთს ხარჯავს ამ მონაცემების შესასწავლად. რამხელა შრომასა და დროს დახარჯავს ციფრული მედიის ანალიზზე, ეს დამოკიდებულია თითოეული მედიაორგანიზაციის რესურსზე, ამბიციურობასა და მიზნებზე, ასევე, მათი მომხმარებლის აქტივობაზე სოციალურ ქსელში. თანამედროვე ცხოვრებისა და სოციალური მედიის ინფორმაციის წყაროდ გამოყენების სამომხმარებლო თუ მედიასტანდარტებისათვის, აუცილებელია შემდეგი მინიმალური რესურსის არსებობა:

- ინტერნეტთან შეუფერხებელი, მუდმივი წვდომის მქონე კომპიუტერი ან ლეპტოპი;
- ცხრილების პროგრამებიდან (Excel, OpenOffice, Google Sheets) მინიმუმ ერთ-ერთის გამოყენების საშუალება;
- მედიამონაცემთა ანალიზზე მომუშავე შტატიანი თანამშრომელი. მან ამ საქმეს კვირაში მინიმუმ ორი საათი უნდა დაუთმოს. ასევე, სასურველია, მეორე, სათადარიგო კანდიდატის არსებობა, რომელიც შეძლებს სოციალური მედიის მთავარი ანალიტიკოსის ჩანაცვლებას მისი ავადმყოფობის ან სამსახურიდან წასვლის შემთხვევაში;
- ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სოციალური მედიის აქტივობის საზომი ერთეულები;
- სოციალური მედიის ანალიზის ანგარიშის წარდგენა წინასწარ დადგენილი განრიგის მიხედვით (მაგალითად, ყოველი თვის ბოლოს);

BRAMS 2022 May
Volume 3, Issue 6
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

- თანამშრომელი, რომელიც ანალიზზე დაყრდნობით, სამომავლო სტრატეგიულ ნაბიჯებს დაგეგმავს.[10]

ლიტერატურა ▫ References

1. Nadare, Maia (2020). *The Media Mill: Political Communication*, Tbilisi: Publishing House Universal, pp. 160-172 (In Georgian).
2. Nadare, Maia (2021), *Deontology Through the International Media Law*, Tbilisi: Publishing House Universal, p. 20, 268 (In Georgian).
3. Ibid. p. 154-157, 192-202.
4. Nadare, Maia (2010). The citizen journalists in the modern media. *Caucasus International University Herald*, No.2, Tbilisi: Publishing House Universal, pp. 51-52 (In Georgian).
5. Chapple, Mike (2020, September 15). What Is Metadata? *ThoughtCo* [thoughtco.com/metadata-definition-and-examples-1019177].
6. სოციალური მედიის გამოყენება – სახელმძღვანელო წესები (2016, აპრილი 27). საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია [qartia.ge/ka/sakhelmdzghvanelo-tsesebi1/article/29249-socialuri-mediis-gamoyeneba].
7. ენუქიძე ნინო (2014, იანვარი 15). სოციალური მედიის ძირითადი ინსტრუმენტები. *Forbes* [https://forbes.ge/sotsialuri-mediis-dzirithad/].
8. Nadare, Maia (1999). *Diversity of Headline in the American Print Media*. Tbilisi: Tbilisi University Press (In Georgian).
9. Nadare, Maia (2021). Evolution of Caption in the British and the American Media. *BRAMS Journal*, 2(3/4), pp. 81-102, 122-127 (In Georgian).
10. ლუგე ტიმო (2019, მარტი). სოციალური მედიის ანალიზი: პრაქტიკული გზამკვლევი ჟურნალისტებისა და სხვა მედია პროფესიონალებისთვის. მთარგმნელი: ნინო პაპუაშვილი. ბონი, გერმანია: დოიჩე ველეს გამოცემა.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

11. ენუქიძე ნინო (2014). სოციალური მედიის როლი ქართული კომპანიების ბრენდინგის პროცესში (დისერტაცია). სამეცნიერო ხელმძღვანელი: დიმიტრი ჯაფარიძე (ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი). თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, გვ. 30.
12. სოციალური მედიის ევოლუცია – მოკლე ისტორია (2019, ივნისი 4). *Connect* [connect.ge/ka/blog/socialuri-mediis-evolucia-mokle-istoria-/].
13. Baker, Kristen (2020). The Ultimate Guide to Mastering the Basics of Effective Social Media Advertising. *HubSpot* [blog.hubspot.com/marketing/basics-effective-social-media-advertising].
14. Barnes, Joseph W. (2016). *Social Media Ethics Made Easy: How to Comply with FTC Guidelines*. New York, NY: Business Expert Press, LLC.
15. Christians, Clifford G., Mark Fackler, Kathy Brittain Richardson, Peggy J. Kreshel, Robert H. Woods, Jr. (2016). *Media Ethics: Cases and Moral Reasoning*. Tenth Edition, New York: Routledge (Taylor & Francis Group).
16. Dollarhide, Maya (2021, August 31). Social Media. *Investopedia* [investopedia.com/terms/s/social-media.asp].
17. Furi-Perry, Ursula JD (2019). *Social Media Law: A Handbook of Cases & Use*. Third Edition, American Bar Association.
18. Houser, Kimberly A. (2022). *Legal Guide to Social Media: Right and Risks for Businesses, Entrepreneurs, and Influencers*]. Second Edition, New York, NY: Allworth Press.
19. Jacobowitz, Jan L, and John G Browning (2017). *Legal Ethics and Social Media: A Practitioner's Handbook*. ABA Book Publishing.
20. Juela, Ricardo, and Priscila Peralta (2021). *Deontology in the Professional Practice of Journalism in Cuenca 2020: The Reality of Journalism*. Republic of Moldova: Sciencia Scripts.
21. Kvalnes, Øyvind (2020). *Digital Dilemmas: Exploring Social Media Ethics in Organizations*. First Edition, Kindle Edition, BI Norwegian

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

Business School (Oslo, Norway), Cham, Switzerland: Palgrave Macmillan.
22. Lee, William E., and Daxton R. Stewart, Jonathan Peters (2022). *The Law of Public Communication*. Twelfth Edition, New York, NY: Routledge.
23. Lipschultz, Jeremy Harris (2021). *Social Media Communication: Concepts, Practices, Data, Law and Ethics*. Third Edition, New York, NY: Routledge (Taylor & Francis Group).
24. Lipschultz, Jeremy Harris (2021). *Social Media Law and Ethics*. First Edition, New York, NY: Routledge.
25. Moore, Roy L., and Michael D. Murray, J. Michael Farrell, Kuy Ho Youm (2017). *Media Law and Ethics*. Fifth Edition, New York, NY: Routledge.
26. Pham, Minh-Ha T. (2022). *Why We Can't Have Nice Things: Social Media's Influence on Fashion, Ethics, and Property*. Duke University Press Books.
27. Roberts, Chris, and Jay Black (2021). *Doing Ethics in Media: Theories and Practical Applications*. Second Kindle Edition, New York, NY: Routledge.
28. *Social media* [nibusinessinfo.co.uk/content/social-media].
29. *Use social media safely* [nibusinessinfo.co.uk/print/node/15783].

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)